ხუთშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 3 № 184

ყოველდღიური გაზეთი

ხუთშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 3 № 184

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^{1}/_{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

დასავლეთის ასპარეზზე მოკავშირენი სასტიკ შეტევას განაგრძობენ.

ოსმალეთის ჯარები პალესტინაში დამასკოს სამხრეთით იბრძვიან. აქ ინგლისელები ელ-კონეტრაში შეიჭრნენ.

გერმანეთში ჰერტლინგი გადადგა. მინისტრს ფონ-ჰინცეს იმპერატორმა პარტიებთან მოლაპარაკება დაავალა.

ბულგარეთის პარლამენტიორები უკვე ჩავიდნენ სალონიკს.

ბერლინსა და ვენაში დიდი მღელვარებაა ბულგარეთის ამბების გამო.

რუმინეთში მღელვარებაა.

ჰუნგრეთში ჰუსარეკს კაბინეტის შედგენა მიანდეს.

ინგლისურ პრესის ცნობით, მოსკოვში დაუხვრეტიათ ნამინისტრალები: შჩეგლოვიტოვი, კოკოვცევი, მაკლაკოვი, პროტოპოპოვი და სხ.

ღვინობისთვის 1-ლს, განთიადისას, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მარიამ ფილიპეს ასული

ლეონიძისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე ალექსანდრე, შვილები: თამარი, ლიზა, გოგია, მიშა. მულები: მარიამ ელიავა და ანასტასია ხატისკაცისა. გამოსვენება დღეს, 10 საათზე ბინიდან (ჩერქეზიშვილის ქ. № 54). კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. (1—1018—1)

სოფიო ნიკოლოზის ასული ლეონიძისა შვილებით: ევგენია, ნინო, ლევან, სვიმონ, გოგლა, რძალი ნინო, სიძე რევაზ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ 1-ლ ღვინობისთვეს ნებითა ღვთისათა აღესრულა პირველის საყვარელი რძალი, მეორეთა დაუვიწყარი ძალო

მარიამ ფილიპეს ასული

ლეონიძისა

გამოსვენება დღეს, საკუთარ ბინიდან (ჩერქეზიშვილის ქ. № 54). წირვა და დაკრძალვა კუკიის ნინოწმიდის ეკლესიაში. (1—1019—1)

ფინანსთა სამინისტრო აცხადებს:

სამინისტროს ცნობებით, ბონების დამზადებელ ექსპედიციიდან გატაცებულ ფულიდან ათ მანეთიან ღირებულებისა ბონები უკვე გაჩნდნენ ხმარებაში. ვაფრთხილებთ მოქალაქეებს, რომ ახალი ნიმუშის ბონები ათ მანეთიან ღირებულებისა მთავრობას სახმარებლად არ გამოუშვია და მათი მიღებაც აკრძალულია. განსხვავებითი ნიშნები შემდეგია:

ახლების: 1. ყველა წარწერები და აგრეთვე მხატვრობა შავი ფერისაა.
2. ბონის ქაღალდი წითელი ფერისაა.

ძველების: 1. ყველა წარწერები და მხატვრობა წითელი ფერისაა.
2. ბონების ქაღალდი ნაცრის ფერისაა.

ახალი ნიმუშების ლიტ. ვ. დ. და №№ 0850—0884-დე“.

1—1 კანცელარიის დირექტორი ს. ჭანტურიშვილი.

სახელმწ ფო თ ატრი

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია ან. ლ. ლევიძისა

ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს, დაიდგმის

კარმენი

ოპერა 4 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: სპიტკო, ვიშემირსკაია, ოვსიანიკოვი, გედევანიშვილი, ბერეზინი, ორდა, ისეცკი, ინაშვილი კურბატოვი, ევროვი.

დირიჟორი ჩერეპნინი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

4 ოქტომბერს „დუბროვსკი“, 5—„ტანგეიზერი“, 6—„ტოსკა“, 7—„აიდა“.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

„საქართველოს“ კონტორა მოაგონებს თბილისსა და პროვინციის ხელის მომწერთ, რომ ვისაც გაზეთის სვედრი ფული არ გადაუხდია უნდა შემოიტანონ 10 ღვინობისთვემდე წინაღმდეგ, შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ. 5—2

სამხედრო სამინისტროს

საადმინისტრაციო ნაწილი ამით აცხადებს, რომ თბილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარსაწყობში 13 ოქტომბერს საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 2464 ფუთი ხორბლის მტვერი, 2026 ფუთი ფვარგისი ლანძილის წნილი. 250 ფუთი შაქრის მტვერი, 1720 ფუთი წიწაკა, 5214 ფუთი დაფნის ფოთოლი და 1576 ფუთი ქაშაყ-თევზი (Сельди), ხოლო 6 ოქტომბერს საჯარო ვაჭრობითვე გაიყიდება მეორე სასურსათო მთავარსაწყობიდან 200 ფუთი ხორბლის მტვერი. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზედ. დაწვრილებითი პირობების გაგება მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობებში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში. 3—2

## სომეხთა წარმომადგენელნი ეროვნულ საბჭოში

ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლობის კანონით პირველად ისარგებლეს სომხებმა; მომქმედ პარტიათა შეთანხმებით აღრჩეული ყველა ათი დეპუტატი გამოცხადდა ეროვნულ საბჭოს სამშაბათის მორიგ სხდომაზე და მომავალს საკანონმდებლო მოღვაწეობას წარუმძღვარა ერთი საერთო დეკლარაცია. მოკლე იყო დეკლარაცია, მაგრამ ღირსის შინაარსითა და მნიშვნელობით აღსავსე. აღსანიშნავია პირველ ყოვლისა ის ფაქტი, რომ სომხის ერის წარმომადგენლებმა გამოიჩინეს შესაფერი ტაქტი და სახელმწიფოებრივი აღზრდა-შეგნება და პირველი საპარლამენტო სიტყვა წარმოსთქვეს ქართულს, სახელმწიფო ენაზე.

როგორი იყო თვით შინაარსი დეკლარაციისა, რომელიც სომხის ხალხის წარმომადგენლების სახელით ბატონმა დავითხანიანცმა წარმოსთქვა? საქართველოს სახელმწიფოს ქვეშევრდომი-მოქალაქე, რომელსაც პოლიტიკურად ამოქმედებს განსაკუთრებით სამშობლოს დაუბრკოლებლივი და ნორმალური განვითარების სურვილი და ღელვის მის წინსვლისა და წარმატებისათვის, დიდის კმაყოფილებით შეჰხვდება სომხის ერის წარმომადგენლების დებიუტს საქართველოს პარლამენტში. „ჩვენ აქ მოვსულვართ, განაცხადა ბ-ნმა დავითხანიანცმა, არა ნაციონალური ინტერესების დასაცავად, არამედ იმ მიზნით, რომ შეძლებისადაგვარად ვიმუშაოთ ჩვენი პატარა საერთო სამშობლო საქართველოს სახელმწიფოს სასარგებლოდ. როგორც გარედ ბრძოლაში, ისევე შინ სახელმწიფოს ორგანიულ მოღვაწეობაში ჩვენ ვიქნებით თქვენთან ერთად, გამხნევებულნი იმ იმედით, რომ საქართველოს სახელმწიფოში დამყარებული იქნება ერთა თანასწორობის პრინციპი“.

პასუხსაგებია ყოველი საჯარო სიტყვა, თუ დაპირება და მით უფრო განცხადება, წარმოთქმული უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში, რომლის სიტყვასა და ნაბიჯს უცილობელი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთა სულიერ განწყობილებისთვისა და ჭეშმარიტ მოქალაქობრივ აღზრდისათვის. მაშასადამე, ჩვენ სრულის ნდობით შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ სომხის ხალხის რჩეულნი ხმას აწვდიდნენ სომხობის ფართო მასსას სახელმძღვანელოდ და ცხოვრებაში გასატარებლად.

სახელმწიფოსათვის საკეთილო მოქმედებას, შეთანხმებულსა და ერთსულოვანს, რომლის უტყუარ მაგალითს შეიცავს ეროვნულ საბჭოს გარდაწყვეტილება საქართველოს საზღვრებში მოსახლე ერთა წარმომადგენლების მოწვევისა და რომლის აუცილებლობა საფიქრებელია, მტკიცედ შეთვისებული აქვს საქართველოში მობინადრე სომხობის უმრავლესობას, დიადი მნიშვნელობა აქვს მეტადრე ამ ხანად, როდესაც ჩვენს ქვეყანას ათასი ჯურის შინაური და საგარეო მტერი საფრთხეს უმზადებს. საერთაშორისო ურთიერთობა დიდს ცვალებადობასა და რყევაშია. პოლიტიკური და სტრატეგიული კომბინაციები საოცარის სისწრაფით თავს გვატყდება. საჭირო ხდება გაათკეცებული ენერგიითა და სახელმწიფოებრივი შეგნებით მოქმედება, რომ ახალი აღთქმის უგუნურ ქალწულებისამებრ ჩირაღდან ჩამქრალნი არ ვიდოდეთ „მიგებებად სიძისა“...

დამოუკიდებელ და თვითმყოფ საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა თავი წამოჰყვეს და „განკითხვის ჟამის მოლოდინში ძალთა მობილიზაციას ახდენენ. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პირველდელ ხანაში ჩვენმა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია რესპუბლიკაში დაბანაკებულ მტერს და თავისი უმოქმედობით საშუალება მისცა მას დაუსჯელად ეწარმოებინა ჩვენი საწინააღმდეგო პოლიტიკა. სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საძირალებისა და პროვოკატორებისაგან მოხერხებულად გადმოსროლილ ანკესს წამოეგო სომხის ერის განსაზღვრული ნაწილიც. შესაძლებელია, რველის მხრივ შევიწროვებულ ხალხმა საქართველოს დამოუკიდებლობაში ვერ იხილა სომხების დამაქვეითებელი მომენტი და შეეცადა ჩრდილოეთის „საფრთხის“ ჩამოშორებას. იმ დროს ჯერ კიდევ ცხოველი იყო „დიდ ჰაისტანის“ იდეა, რომელსაც განსაკუთრებულის გაბედულობითა და მხნეობით ანვითარებდნენ სომხის უკიდურესი შოვინისტები. მათმა მუყაითობამ საქართველოს სომხებს ბევრი ისეთი შემცდარი გამოსვლა ჩაადენინა, რასაც საბედისწერო შედეგები უნდა მოჰყოლოდა მეგობარ ხალხთა დამოუკიდებულებაში, თუ თვით სომხის ხალხი დროზე არ ჩამოსცლოდა დამღუპველ ჰიპნოზს.

გარდატეხა ტენდენციაში და პოლიტიკაში უნდა მომხდარიყო. სომხის ხალხის უმრავლესობას უნდა ეგრძნო მთელი სიმძიმე და სირთულე მდგომარეობისა და აერჩია ერთი გზა, გარკვეული და ნათელი. მიკიბ-მოკიბვას პოლიტიკაში არა აქვს ადგილი...

ის გზა, რომელსაც დაადგა საქართველოს სომხობა, ჩვენი სახელმწიფოს აღშენებისა და განმტკიცების ხელის შემწყობია.

ქართველი ხალხი სალ სახელმწიფოებრივ გარდაწყვეტილებად ჩასთვლის სომხების აქტიურ პოლიტიკურ გამოსვლას ჩვენს ცხოვრებაში და თანხმობით იმუშავებს საქართველოში ერთა სოლიდარობის დამკვიდრებისათვის.

იმედია, სომხის ერის წარმომადგენელის დიდმნიშვნელოვან საპარლამენტო სიტყვას თან დაერთვის სომხდეპუტატების პრაქტიკული მოღვაწეობაც საქართველოს სახელმწიფოს სასარგებლოდ.

რ. ინგილო.

## მეტად საფრთხილო მდგომარეობა

როდესაც ჩვენს საზღვარზე მხოლოდ ჩვენ დავრჩით მცველებად, მაშინ ორი რამ გამოირკვა, სრული სიცხადით ქართველ ერისათვის: 1) რომ ჩვენი არსებობა საოცარ და საშიშ მდგომარეობაშია; 2) რომ ქართველი ერი იმ წუთში საკმაოდ მომზადებული არ იყო თავის დასაცავად.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ საშიშროების ნათლად დანახვა ქართველ ერს გამოაფხიზლებდა, ის ირგვლივ მიიხედმოიხედავდა და შესძლებდა გაეთვალისწინებია, თუ რა ჩამაფიქრებელია მისი ბედი.

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაში ორი მხარე უნდა გავარჩიოთ, ერთი მეზობლური და მეორე შორეული, ევროპიული. ახლო წარსულმა უკვე საკმაოდ დაგვიმტკიცა, რომ ევროპიელნი ჩვენ საკითხს სრულიად გულგრილად არ უყურებენ, პირიქით მათმა, ამ შემთხვევაში, გერმანიის დახმარებამ საოცარ განსაცდელს გადაგვარჩინა. შემდეგშიაც იმედი უნდა ვიქონიოთ, ჩვენი დამოკიდებულება ევროპასთან კიდევ უფრო მკვიდრ ნიადაგზე დადგება და ეს ვიწრო კავშირი საშუალებას მოგვცემს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა განვამტკიცოთ.

მაგრამ არის მეორე მხარე ჩვენს არსებობაში—მეზობლური. ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა მეტად საყურადღებოა. სწორედ ამ მდგომარეობის ბრალი იყო, როცა საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა დაჰკარგა. მოგვითხრობენ, ერეკლე მეფე დიდ ყოყმანში იყო, გაეწყვიტა სპარსეთთან ყოველივე კავშირი თუ არა და საბოლოოდ რუსეთს მინდობოდა. ამ ხანებში, ერთხელ ის მიდიოდა ყაბახზე, ეხლა რომ ალექსანდრეს ბაღია. უეცრივ ჩარდახიან ურმიდან მოესმა ქალთა კვილი: „გრცხვენოდეს, მეფევ, ასე უპატრონოდ რომ გაგვწირეო“.

ეს ის ქალები იყვნენ, რომელთაც სპარსეთში გზავნიდენ. რასაკვირველია, ეს შეთხზული ამბავია, მაგრამ ამით გამოხატულია ის საოცარი ტრაგიზმი, რომელსაც ქართველი ერი განიცდიდა თავის მეზობელთა ბარბაროსულ თარეშის წყალობით. მართალია, ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, ქართველი ერი მოდონიერდა, მისი მეზობლებიც ისეთი საშიში აღარ არიან. მაგრამ აქ არ არის საკითხი შორეულ მომავალზე. საკითხი დღევანდელ წუთს შეეხება. დღეს კი უნდა გამოვტყდეთ, მდგომარეობასთან შედარებით ფრიად სუსტნი ვართ. ვერ ვისარგებლეთ საკმაოდ იმ გაკვეთილით, რომელიც ბათომის სიმაგრეებზე და გურიის მიდამოებზე მივიღეთ. გარეშე დახმარებით საფრთხის სრულებით აცილებამ თითქოს მიგვაძინა. და ეს მაშინ, როდესაც შეიძლება ყოველ წუთში მეხი თავს დაგვეცეს, აკლებულ იქმნას ის გურია, რომლის შვილები ბევრს ტრაბახობენ მთელი კაცობრიობის გაბედნიერებისათვის, აოხრდეს მშვენიერი კახეთი და საზოგადოდ განადგურდეს მთელი საქართველო მისი ნაშრომნაღვაწით.

ბატონებო, გარეშე დახმარებას საერთაშორისო ურთიერთობაში ძლიერი ერნიც კი ეძებენ. მაგრამ არაა ის ერი, რომელიც მხოლოდ გარეშე დახმარებაზე ამყარებს თავის იმედს. დღევანდელ განსაცდელში საჭიროა, რამდენადაც კი ეს ადამიანისთვის შესაძლებელია, დავივიწყოთ შინაგანი შუღლი, რომლის გაზვიადება მხოლოდ დაგვღუპავს, დაგვცემს. კლასთა ბრძოლა ყოველ ერში სწარმოებს, მაგრამ ეს ბრძოლა ერის უმაღლეს ინტერესთა ფარგალში უნდა მოიქცეს და საერთო ინტერესთა წინაშე ყველანი ქედს უნდა ვიხრიდეთ. ძალთა მოკრება, ყოველივე ყოყმანის უკუგდება, დღე და ღამ მუშაობა, ჯარის, ნამდვილ ჯარის სასწრაფო ტემპით—ორგანიზაცია—აი რას გვავალებს დღევანდელი წუთი. თუ ქართველი ერი ძალას მოიკრებს, მას საკმაო ღონე აქვს მეზობელთა შორის კეთილი განწყობილება დაიჭიროს და არც არავინ შეაწუხოს, არც თავისი თავი ვინმეს გააქელვინოს.. და თუ ეხლაც გონს ველარ მოვალთ, მაშინ დიე ამოწყვეტილ და განადგურებულ იქმნას ზნეობრივ გახრწნილთა ბრბო, რომელსაც ადამიანური ღირსება თავის კერის დაცვისა დაუკარგავს.

აქ უნდა შევეხო ერთს გარემოებას. ამ ომის მიმდინარეობაში საშუალება მქონდა თვალყური მედევნებია სომეხთა პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის და უნდა გამოვიტყდეთ, დღემდისაც ვერ მივხვდი, რა გზას ადგია ეს ხალხი, რატომ უფრო ფრთხილი და წინდახედული არ არის, თუ სომხებს სურთ იგივე გამეორდეს საქართველოში, გინდ თბილისში, რაც მოხდა ოსმალეთში, ბაქოში და სხვა ადგილებში? ამ მწარე სიტყვების დაწერა მაიძულა ერთმა გაზეთმა, რომელსაც სახელად ჰქვიან „სვობოდნოე სლოვო“ და რომლის რედაქტორია ვინმე სომეხი მუქდუსი-აკოპოვი. ამ გაზეთის მესამე ნომერში მოთავსებულია მოწინავე წერილი სათაურით: „გერმანიასთან მეგობრობის ხელმეორედ შეფასება“. წერილი სავსეა საზიზღარი ტყუილებით, თითქოს გერმანიას ქართველი ერი მოეტყუებიოს, თითქოს გერმანიასთან მეგობრობა ქართველ ერს საოცარ მატერიალურ მსხვერპლს აკისრებდეს და სხვა. წერილი დაწერილია ალვირ წახსნილ პროვოკატორული ტონით და მასში მოხერხებულად ჩაქსოვილია სომეხთა იდუმალი გულის წადილი ხელახლა ნახონ რუსნი ქართველთა ზურგზე მოთამაშენი.

ჩვენ კიდევ ერთხელ იძულებული ვართ გამოვთქვათ ჩვენი ღრმა მწუხარება იმის გამო, რომ მთავრობა მეტად სუსტია ამ საოცარ განსაცდელის დროს ალაგმოს უპასუხისმგებლო ჩვენი სახელმწიფოებრივობის ორგულნი და მოუსპოს საშუალება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მიწა-წყალზე უდიერად მოიხსენიონ ჩვენი მოკავშირე გერმანია, განსაკუთრებით როცა მთელი ეს ცუდად ხსენება ტყუილებზეა აშენებული მხოლოდ ამ მიზნით, რომ ხალხში უნდობლობა დათესონ. დროა ამ შემთხვევაში მთავრობამ შეასრულოს თავისი მძიმე მოვალეობა.

იმის ლოცვაა, რომ სომხებმა უფრო ფრთხილად, უფრო გონიერად აწარმოვონ თავიანთი პოლიტიკა, ვიტყოდი, მეტი შეთანხმებით ქართველებთან, ვინაიდან გულწრფელი შეთანხმება საბოლოოდ ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში მეტად დაგვავალებენ ჩვენი მეზობლები, თუ უფრო თავის თავზე და თავის მომავალზე იფიქრებენ, ხოლო ჩვენ თავს დაგვანებებენ, რადგან ჩვენ იმედი გვაქვს შეძლებთ ჩვენს თავს თვითონ მოუაროთ.

პ. სურგულაძე.

## ოსმალეთის პრესა საქართველოს შესახებ

ოსმალეთის გაზეთ „ვაკიტ“-ში მოთავსებულია ამ გაზეთის რედაქტორის მეხმედ ემინ ბეის წერილი, იმ უთანხმოების გამო, რომელიც გერმანეთს და ოსმალეთ შორის მოხდა კავკასიის და, კერძოთ, საქართველოს საკითხის გარშემო. წერილი მოთავსებულია შემდეგი სათაურით:

„კავკასიის მდგომარეობის შესახებ სარწმუნო წყაროებიდან გვაქვს მიღებული. უკანასკნელი ცნობები გერმანულ პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებათა გამო“.

„ჩრდილო-გერმანულ გაზეთში“ დაბეჭდილმა წერილმა რუსეთ-გერმანეთის შორის, განსაკუთრებით კავკასიის შესახებ მოლაპარაკების შედეგებმა, ჩვენს ქვეყანაში დიდი მღელვარება გამოიწვია. მკითხველთა დასამშვიდებლად ჩვენ ცნობები შევკრიბეთ და მივიღეთ შემდეგი:

„ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობამ მოგვანიჭა ყარსი, არტაანი და ბათუმი. კავკასიაში გაერთიანებულ სახელმწიფომ არ იცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა. რადგანაც მაშინ რუსეთს არ ედვა ძალი თვისი უფლების განსახორციელებლად. ჩვენ მოგვიხდა ძალით აგვეღო ის ადგილები, რომელიც მოგვეცა ხელშეკრულობის ძალით. როდესაც ჩვენ ეს შევასრულეთ კავკასიის შეერთებულმა სახელმწიფომ განაცხადა ზავის ჩამოგდების სურვილი და ტრაპიზონს თვისი ელჩები წარმოგზავნა. მაგრამ დესპანთა კადნიერებამ იქამდე მიაღწია, რომ ჩვენ საკუთარ მიწა-წყალზე მოითხოვდენ სომხეთის ავტონომიის შექმნას. რასაკვირველია ამით შეთანხმება ვერ მოხდებოდა. განვაგრძეთ რა საომარი

მოქმედებანი, ავილეთ ბათუმი. მაშინ დაეცა კავკასიის სახელმწიფო და ბათუმში ჩავიდნენ ახალ მთავრობის დესპანები.

მათ მოვთხოვეთ საზღვრების შესწორება. ამისთვის წინადვე მივიღეთ გერმანეთის თანხმობა. საერთოდ კავკასიის შესახებ მოქმედებისთვის ყოველთვის ვეკითხებოდით გერმანეთს.

საზღვრების შესწორებისთვის დაგვეთანხმდენ როგორც საქართველო, ისე ადერბეიჯანი და სომხეთი, ბათუმში შეთანხმებაზე ხელი მოაწერეს, მაგრამ გერმანელ ელჩის წყალობით, რომელსაც თავის მთავრობისაგან ინსტრუქციები არ მიეღო, მრავალი საკითხი გადუწყვეტელი დარჩა. ეს საკითხები გადირჩევა სტამბოლის კონფერენციაზედ, სადაც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებულ სახელმწიფოთა დესპანები.

საქმის ასეთ გარემოებით კავკასიის მთავრობები ურკვევ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ორნაირად შეგვეძლო მათთან საქმის დაჭერა. მათი სახელმწიფოებრივი არსებობა ან ოფიციალურად მიგვეღო, ან ძალით. ამის შესახებ დიდი მოლაპარაკება გაიმართა გერმანეთ-ოსმალეთის შორის. ჩვენი მთავრობის აზრით საჭირო არ იყო მათი არსებობის ოფიციალურად აღიარება და საკმაოა ხელშეკრულობით, ამ პრაქტიკულ გზით მათი ყოფნის აღიარება. გერმანეთმა ამის შესახებ გადაჭრილი არაფერი არ გვაცნობა, მხოლოდ აზრი და სიტყვები გააჭიანურა. უკანასკნელ ხანებში გვესმის, რომ გერმანეთმა გამართა მოლაპარაკება რუსეთთან, რასაც შედეგად მოჰყვება მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. დანარჩენთა მდგომარეობა ბუნდოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ადერბეიჯანი საჭიროებს ბაქოს, გერმანეთმა თანხმობა განაცხადა, რომ იგი რუსების ხელში დარჩეს. შემდეგი საკითხი მეტად მნიშვნელოვანია:

გვაწვდიდა გერმანეთი რუსეთთან წარმოებულ ხელშეკრულობის ცნობებს თუ არა? ამ საკითხის შესახებ ნამდვილი ცნობები ვერას გზით ვერ მივიღეთ. მაგრამ ვიტყვით, რომ ამიერ კავკასიის საკითხის შესახებ გერმანეთი არ გვაძლევდა იმდენ ცნობებს და უსამართლოდ მოექცა მოკავშირეს. საქმის ასეთი ბუნდოვანობა არ შეიძლება გრძელდებოდეს ორ მოკავშირეთა შორის. ამისთვის დიდი ვეზირი მიემგზავრება ბერლინს გერმანეთის სახელმწიფოებრივ პირებთან მოსალაპარაკებლად".

## მთავრობის წრეებში

საქართველოსა და სომხეთის მთავრობის შუა დადებულ იქმნა ხელშეკრულობა ორივე სახელმწიფოებში საქონლის გადატანის შესახებ.

**აფხაზეთის საქმეთა სამინისტროს** შტატი და ხარჯთაღრიცხვა შემუშავებულია და მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად.

—

**თერგის მთავრობის შუამდგომლობა.** თერგის მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ თანახმად დადებულ ხელშეკრულობისა, საქართველოს მთავრობამ განათავისუფლოს გულეთის ხიდზე, საქართველოს სამხედრო გზაზე, დატყვევებული წითელი არმიელები და მისცენ მათ უფლება კავკავში დაბრუნდნენ.

—

სანაპირო დარაჯის უფროსი პოლკ. მაყაშვილი, თანახმად სამხედრო მინისტრის ნებართვისა გაემგზავრა სალოღლოსა და ფოილოს საქმეების გამოსარკვევად. მის დაბრუნებამდე სანაპირო დარაჯის უფროსის თანამდებობის ასრულება სამხედრო მინისტრმა მიანდო პოლკ. კაკაბაძეს.

## სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში

(დასასრული *)

სტრასბურგის უნივერსიტეტის გამოჩენილ პროფესორის თეობალდ ციგლერის დასკვნა-გამოკვლევით „აღზრდა არის შეერთება-შეხავება ისეთის გონივრულად შეწყობილ-მოფიქრებულის და სისტემატიურად დალაგებულის საშუალებებისა, რომლის წყალობით და შემწეობით ადამიანი გარდიქმნება კაცად, სრულის ამ სიტყვის მნიშვნელობით. აღზრდამ უნდა განავითაროს ადამიანში ყველა კარგი, კეთილშობილი თვისებანი, ხოლო ჩააქროს და გააქარწყლოს ცუდნი, მხეცურნი მიდრეკილებანი. მანვე საკმარისად უნდა შეამზადოს ბავშვი პრაქტიკული ცხოვრებისათვის, შეაიარაღოს იგი დროის საჭირო სწავლა-ცოდნით და გამოცდილებით".

ახლა თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დიადს ჩვენი დროის სწავლის დიფერენციაციას და საზოგადოდ მეცნიერების სწრაფ ზრდა-მსვლელობა-განვითარებას, მაშინ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ერთობ რთული და მძიმე მოვალეობა სკოლისა. ცხოვრება ჩქარის ნაბიჯით მიმდინარეობს და განათლებაც, რასაკვირველია, საჭიროა წინუძღოდეს მას; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაჰკარგავს თავის არსებობის უფლებას და მნიშვნელობას. სკოლა უნდა წარმოადგენდეს ცხოვრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ საშუალებას. რათა ეს დიდი გაჭირვება აიცილოს თავიდან სკოლამ, მან უნდა დაისახოს მიზნად დააკმაყოფილოს მინიმალური საჭიროება მოსწავლისა; გაულვიძოს მას სურვილი სწავლის შეძენისა, შეაჩვიოს იგი ბეჯითობას, გულმოდგინე შრომას, მისცეს მის ხასიათს სიმკვიდრე-სიმტკიცე, განავარჯიშოს ბავშვი მოქმედებაში, აჩვენოს თუ როგორ და რანაირად შეიძლება საჭირო სწავლა-ცოდნის შეძენა, მისი სისტემაში მოყვანა და ცხოვრებაში გამოყენება. ამ თვალსაზრისით უპირველესს დანიშნულებას სკოლისას წარმოადგენს მისი აღმზრდელობითი ხასიათი. ეროვნული სწავლა-აღზრდა არ უნდა განისაზღვრებოდეს მარტო ცოდნის მიცემით, არამედ უნდა ვრცელდებოდეს ყმაწვილის ნების-ყოფის აღზრდაზედ. ადამიანი მარტო გონიერი და მეტყველი არსება კი არ არის, იგი იმავე დროს უფრო მომქმედი და ნებით დაჯილდოვებული არსებაა. მოქმედებისა და შემოქმედებისაკენ მისწრაფება ყველაზე უფრო ბავშვებს აქვსთ. ესენი უფრო მეტს აკეთებენ, მუშაობენ, ფაციფუცობენ, ვიდრე ჰფიქრობენ და აზროვნობენ. ამ მხრივ, საუბედუროდ, დიდს ნაკლს წარმოადგენს ჩვენი სკოლა. ერთის შეხედვით ბავშვის გონების განვითარებისათვის იგი თითქოს ბევრსაც ზრუნავს, მაგრამ ბავშვის ბუნებრივის უძვირფასესის თვისებით, ბუნებრივის ნიჭით, მოქმედებისა და შემოქმედებისაკენ მისწრაფებით სრულიად არ სარგებლობს. ახლანდელს სკოლაში ყმაწვილის სწავლაში წარმატება მისს მეხსიერებაზედ არის დამყარებული. ამის წყალობით ზოგი „შესანიშნავადაც ზეპირობს, მაგრამ ამ ბრწყინვალე გარეგნობაში ჭიანი გული მოსჩანს". ასეთი ცოდნა უმოქმედოა, ყველასათვის უცხოა, არც ნამდვილი გონების განვითარება სჩანს აქ. მსჯელობით სუსტი მოწაფე უძლურია ყველგან, სადაც კი მარტო თავის ამარად ყოფნა მოელის. ყველა ეს იმისი ბრალია, რომ ყმაწვილის ბუნების ძირითადი ძალები უყურადღებოდ რჩებოდა და ამ ძალებმა კიდევაც მიიძინეს. ჩვენს პედაგოგებს საზოგადოდ მოწაფის ნების, ხასიათის და ფიზიკური ძალების განვითარება ნაკლებ აინტერესებთ. მთელი ყურადღება დღევანდელ სკოლაში მოწაფის აზროვნობის ნიჭის განვითარებისაკენ არის მიქცეული—ფუქსავატი აზროვნობის შადრევანისაკენ. იმის შედეგად, როგორც შენიშნულია, გონებრივი მოქანცულობა მოსდევს, ე. ი. გარეგან გრძნობათა დაუძლურება და მითი პერიფერიის ნერვის მოდუნება.

ამიტომ ზემო აღნიშნულს მიზანს უნდა ემსახურებოდეს როგორც დაბალი, ისე საშუალო და მაღალი ტიპის სკოლა. ამასთან დაბალი საფეხურის სკოლამ უნდა მისცეს ბავშვს მინიმალური ცოდნა, საშუალო გააფართოვებს მას, ხოლო უმაღლესი გამოარკვევს სამეცნიერო სწავლა-ცოდნის მეთოდებს და შეამზადებს მოსწავლეებს დამოუკიდებელის ნაყოფიერის მუშაობისათვის. მინიმალურს სამზადისს კი, რომელიც უნდა შეადგენდეს ბაზას—საფუძველს დაბალი ხალხის განათლებისათვის, წარმოადგენენ: წერა-კითხვა, ანგარიში, ელემენტარული ცოდნა ბუნების მოვლენათა, ისტორია-გეოგრაფია, ხატვა-ხაზვა, ხელოსნობა—დურგლობა, მკერვალობა და სხვ. თუ რომ ყველა ამასთან სკოლა განუვითარებს ბავშვს ხასიათს, შეაჩვევს ზრდილობიან ქცევას, მაშინ ყმაწვილის ცხოვრების ასპარეზზედ გამოშვება გაბედულად შეუძლიან სასწავლებელს.

სრულიად რუსეთის სწავლა-განათლების მოღვაწეთა კრებამ სახალხო სკოლების დანიშნულების შესახებ ასეთი რეზოლიუცია შეიმუშავა: 1) დასაწყისი სკოლა, როგორც პირველი საფეხური ერთიანის ზოგად განვითარების სკოლისა, არ უნდა მისდევდეს სარგებლობის მიზანს. საპროფესიო ტეხნიკური ხასიათის საგნების სწავლებას მის კურსში ადგილი არ უნდა ჰქონდეს; 2) იგი უნდა უწყობდეს ხელს ბავშვის ფიზიკურს, ზნეობრივს, ესთეტიკურს და გონებრივ განვითარებას; სკოლამ უნდა აღზარდოს ადამიანი ისე, რომ მან გონივრულად და პატიოსნად გადასწყვიტოს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხები; 3) სკოლაში მოწაფეებმა, პირველ ყოვლისა, უნდა გაიცნონ ადამიანის სიცოცხლისა და ბუნების ისეთი მოვლენანი, რომელთაც უფრო ხშირად ჰხვდებიან ცხოვრებაში; 4) მშრომელ მკვიდრთა დაკმაყოფილება საპროფესიო ცოდნით შეიძლება სპეციალური დამატებითი კლასების გახსნით, რომლებიც სკოლების შემდეგ საფეხურებს შეადგენენ.

ფრიად მდიდარს მასალას ნაციონალურის აღზრდა-განათლებისათვის იძლევიან მრავალ-ტანჯული საქართველოს ისტორიის ფურცლები. ეს მთელი სკოლაა მოსწავლეთა მაღალი ძალების და სულის აღსაზრდელად. ამის გამო ყოველი სიცოცხლით მოსილი ერი სათუთად ინახავს, აქებს და ადიდებს თავის ეროვნულ გმირებს და წმინდანებს. ისინი არიან ის ნეტარნი მართალნი, რომელნიც წარმოადგენენ დაუმუშავებელ ეთნოგრაფიულს მასალას ეროვნებისას, მათში განსახიერებულია ერის მისსია, ისინი შეადგენენ უტკბილესს ნაყოფს ხისას, რომელსაც ღრმად გადგმული ფესვები აქვს მიწაში. ისტორიაში იბადება, ღრმავდება და ფართოვდება ერის სული. სადაც ერის ისტორია ფაქტებით, აზრებით და იდეალებით ღარიბია, მისი მიწა-წყალი ბრძოლაში სისხლით არ აფერადებულა, იქ ერის სული უშინაარსოა, მისი ნების-ყოფაც სუსტია, გონება სისტემას და ლოღიკას მოკლებულია. ეროვნული ისტორიის ფურცლებზედ იბეჭდება ერის მოძრაობის, განცდის ნაყოფი, მასში ინახებიან ერის საუკუნეთა სულიერი მღელვარების მისწრაფებანი, აზროვნება-შემოქმედებანი. აქ—ისტორიაში იწყება ღმერთების, იდეალების, ოცნებობის გამოფენა-გამომზეურება. აქვე—ისტორიაში უძევს სათავე რელიგიურს, ესთეთიურს ნავთსაყუდლის ძებნა-ძიებას: რევოლიუციებს, რეფორმაციებს, რესტავრაციებს; აქ აქვთ უკვდავი საცხოვრებელი ბინა ეროვნულს გმირებს, წმინდანებს. აქ ისახება პერსონალური ბედნიერება, ეროვნული იდეალები, კაცობრიობის ილლიუზიები: ამირანები, ორმუზდები, მინდიები, კაკო ყაჩაღები, ბუდდა, მაჰმადი და სხვ. ისტორია არის ბრძოლის და შემოქმედებითის აზარმაცი. იგი არის მსოფლიო ცხოვრების სული.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საქართველოს ხელოვნების და ეთნოგრაფიის შესწავლას, სამშობლოს ყოფა-ცხოვრების გაცნობას აწმყოს ან წარსულში. ამისათვის საჭიროა მოიმართოს სპეციალური ექსკურსიები სხვა და სხვა საქართველოს მხარეების გასაცნობად და დასათვალიერებლად. საჭიროა დახმარება აღმოეჩინოს სკოლებში მოდელების გამართვა-გაწყობის საქმისათვის და ეთნოგრაფიული კოლექციების დამზადებისათვის.

ამავე მიზნით უნდა მიეცეს ფართო ადგილი სასწავლებლებში საქართველოს გეოგრაფიის სწავლებას. ყველას მოეხსენება, რომ რუსულ სკოლაში სამშობლოს სწავლებას არა ჰქონდა ადგილი. ეს ერთნაირად ითქმის როგორც დაბალის, ისე საშუალო და მაღალი სასწავლებლების შესახებ. აი მიზეზი, რის გამოც ჩვენ ძლიერ სუსტნი ვართ სამშობლოს ქვეყნის ცნობაში. ხშირად ქართლ-კახელი მოკლებულია ცოდნას შესახებ იმერეთის, სამეგრელო-სვანეთის და გურიის; მთიელნი, რომელნიც მომწყვდეულნი არიან თავის მთებში, უცნობნი არიან ერთისაც და მეორისაც. გაცნობა სამშობლოსი არა პატარა სამსახურს გაუწევს მოსწავლეებს აგრეთვე პატრიოტული-მამულიშვილობის გრძნობის განვითარების საქმეში.—წარმოუდგენელია, როგორ უნდა აღეძრას ბავშვს მამულის სიყვარული, როდესაც მისთვის „სამშობლო" ცარიელი უშინაარსო სიტყვის მეტს არაფერს შეადგენს.

ცენტრალური ადგილი ბავშვის სწავლა-აღზრდაში უნდა დაეთმოს ეროვნულ სკოლაში სამშობლო ენას, მწერლობას და ლიტერატურას. ესენი შეადგენენ საფუძველს ერის სასოების და იდეალებისას. ხალხურ ანდაზებში, თქმულებებში, სიმღერებში და სხვ. ჩაფლულია მთელი განძი ზნეობრივის ფილოსოფიისა, აზროვნობისა. სამშობლო ენა და მწერლობა წარმოადგენენ დაუშრეტელ წყაროს განსავითარებლად ბავშვის გონების და ზნეობის ძალებისას, მისი კეთილშობილურის ინსტიქტების და მისწრაფების განსამტკიცებლად, ცნობისმოყვარეობის, სამეცნიერო ინტერესების და შემოქმედებითის ძალების განსაცხოველებლად.

ამ თვალთ.აზრით მოვითხოვთ, რომ მოხდეს ძირითადი რეფორმა ყველა საგნების სწავლების საქმეში და უმეტესად საქართველოს მწერლობა-ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის და ბუნებისმეტყველების სწავლის პროგრამები. ამ საგნებს უნდა დაეთმოს ცენტრალური ადგილი სასწავლო გეგმაში, მათი სწავლება უნდა სწარმოებდეს საუკეთესო მეთოდების საშუალებით. მათი სწავლებით უნდა მიეცეს მოსწავლეებს სამეცნიერო ცნობანი და ხელი შეუწყოს მოსწავლეების სულიერი ძალების განვითარებას.

*) გაზეთი „საქართველო" 1918 წ. №-ბი 157, 163, 165, 169, 179.

# ეროვნული საბჭო

## წერილები პარლამენტიდან

III

ჩვენი პარლამენტის მემარცხენე სექტორს 10 ახალი დეპუტატი შემატა—სომხების წარმომადგენელნი.

არ ვიცი, რათ დაიჭირეს მათ უკიდურესი სკამები. თუმც მათ შორის ისეთი არა-სოციალისტური პარტიის დელეგატებიც არიან, როგორიც სომეხთა სახალხო პარტიაა—ყოველს შემთხვევაში მე წინასწარმეტყველება არ მინდა, მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ყველა სომეხთა დეპუტატები ერთად მოთავსდენ.

მათი პირველი დეკლარაცია უსათუოდ საყურადღებო იყო.

კარგისა და ლამაზ ქართული ენით ბ-ნი დავითხანოვი აცხადებდა, რომ ისინი მოსულან მისთვის, რომ თავისი ერთგულება დაამტკიცონ, როგორც შიგნით, ისე ბრძოლის ველზედაც პატარა და ძვირფას სამშობლო საქართველოს თავისუფლების დასაცავად.

პატარა და ძვირფასი სამშობლო საქართველო!

ძალიან ლამაზად ითქმის და კიდევ უფრო ლამაზად გვესმის ბატონ დავიდხანოვის სიტყვიდან!

მე არა მაქვს არავითარი უფლება არ ვირწმუნო საქართველოს პარლამენტში წარმოთქმული სიტყვა.

ყოველ შემთხვევაში პარლამენტის ტრიბუნა ავალებს დეპუტატს თავისი სიტყვის განაღდებას!

მაგრამ რამდენადაც საზეიმო იყო ამ სხდომის დასაწყისი, იმდენად სამწუხარო იყო მისი დასასრული, როდესაც დეპუტატები რიგ-რიგად ხსნიდენ ფარდას იმ სამინისტროს, რომლის ოფიციალური მეთაური და მისი ამხანაგიც ასე მჭევრმეტყველურად აკლდნენ მთავრობის მაგიდას.

ნოე ჟორდანიამ მათი იქ არ ყოფნა მარტო სამწუხარო მოვლენად ჩასთვალა, მაგრამ ის უფრო მართალი იქნებოდა, რომ ეს სამარცხვინოდ ჩაეთვალა.

ბ-ნ ლორთქიფანიძის ოფიციალურ დამცველად სოც.-დემ. კიკვაძე გამოვიდა, მაგრამ ისიც, ვისაც იგი იცავდა და ვინც დასაცავად გამოგზავნა, გაცილებიც მეტს მოიგებდენ, რომ ეს მოხუცი ტრიბუნაზე ასასვლელად არ გარჯილიყო.

მართალია, მისი სიტყვით: ვერც ერთი სამინისტრო „დროსა და სივრცის გარეშე ვერ იმოქმედებს", მაგრამ მისი სიტყვა კი სწორედ „დროსა და სივრცის" გარეშე გამოდგა, რადგან დროც ძალიან შეუსაბამო ამოირჩია, და „სივრცეც" მეტად დაუსრულებელი აღმოაჩნდა".

თვით ინტერპელანტს აღარაფერი უთქვამს, მაგრამ პეტრე ქავთარაძის სიტყვის შემდეგ საჭიროც აღარ იყო რაიმეს თქმა.

„ალიონის" ჯგუფი ძალიან ბევრს მოიგებდა, რომ ესეთი დაუბრკოლებელი პოზიცია დაეკავებია ყოველთვის და მენშევიკების უკან მიმალულ სკამებიდან ხანდახან თავისი სახეც ეჩვენებინათ.

ამისთვის მათ საკმაოდ გაბედული წევრებიც ჰყავს და მათი ფრაქციის განსაკუთრებული მდგომარეობაც ყველაზედ უფრო მეტს საშუალებას აძლევს.

უაღრესი ყურადღების საგანი გახდა მთავრობის თავმჯდომარე. ყველა მოელოდა მისგან, რომ თუ იგი იმ მძიმე ატმოსფერის განელებას არა, რომელიც პ. ქავთარაძის სიტყვამ დარბაზში დაამყარა, მომავლისათვის საიმედოთ წარსულ შეცდომათ აღიარებს მაინც.

მაგრამ რა იყო ბ-ნ ჟორდანიას პასუხი!

მთავრობა შლის სასურსათო სამინისტროს და აარსებს ახალ ორგანიზაციას, რომელმაც თავისი დაარსებისვე პირველ დღიდანვე მთავრობისადმი ურჩობა განაცხადა.

და აარსებს იმ იმედით, რომ თუ სახეირო გამოდგა, ეროვნულ საბჭოს წარმოუდგენენ დასამტკიცებლად, და თუ არა.

რაიმე ახალს მოიგონებენ.

არღვევენ უკვე არსებულ ორგანიზაციას და მხოლოდ იმედის წინაშე სდგებიან!

და ესეთს პირობებში სურთ დააწყონ ის ანგრეული საქმე, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში მხოლოდ იშლებოდა და იმავე პირებმა, ვინც მას აქამდე ანგრევდა.

საინტერესოა, რამ უნდა გამოიწვიოს პასუხისმგებელი სამინისტროს კრიზისი, როდესაც სამინისტრო პროგრამისა და მოღვაწეობის ისეთი სრული გაკოტრების შემდეგაც კი, რომელიც ეროვნულ საბჭოს სხდომებზედ გაიშალა მთავრობის სასურსათო პოლიტიკის განხილვის დროს, მთავრობის თავმჯდომარეს მხოლოდ ერთი სამდურავი რჩება ინტერპოლანტისათვის:

რომ მან ცნობები მათი კანცელარიიდან მიიღო.

ლ. ჯ—ძე.

—

**1 დეკემბრის სხდომა, თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე**

### სომხები საქართველოს პარლამენტში

სხდომის დასაწყისი საზეიმო ხასიათს იღებს. დარბაზში შემოდიან სომეხთა ერის წარმომადგენელნი და უკიდურეს მემარცხენე სკამებს იკავებენ მენშევიკების უკან. პირველი სიტყვით მათ თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე მიესალმება.

### ჩხეიძის სიტყვა

მოქალაქენო, ეროვნულ საბჭოს წევრნო! საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებას დღეს შემოუერთდენ რესპუბლიკის ერთი ერის უმცირესობათა წარმომადგენელნი (ტაში). მე მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და მივესალმო მათ იმ იმედით, რომ ეს ახალი ძალა გაგვიადვილებს იმ ძნელ მუშაობას, რომელიც ჩვენ ისტორიამ დაგვავალა! საქართველოს ტერიტორიაზედ ჩვენ ყოველთვის ვხედავდით მუშაობას ერთა სოლიდარობისათვის.

დღეს ამ მუშაობის გაძლიერება მით უმეტეს საჭიროა, რომ ჩვენი მდგომარეობა უფრო გართულდა, ვინემ ეს წინეთ იყო. თუ წინასწარმეტყველებას არ დავიჩემებთ, არ შეგვიძლია ვსთქვათ, თუ როდის დადგება ის დრო რომ შესწყდეს ის საშინელი სისხლის ღვრა, რომელიც ყველაფრის წალეკას ლამობს.

დღეს ხდება ცვლილება საერთაშორისო მდგომარეობაში და ეს მეტად სიმპტომატიურია... და ეს ცვლილება, დიდია თუ პატარა, ჩვენს მდგომარეობას უფრო გაართულებს. შინაური მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია, მაგრამ მე მინდა ხაზი, განსაკუთრებით ერთს გარემოებას გავუსვა: ეს არის ის ბოროტება, რომელსაც სჩადიან ის ჯგუფები და პირნი, რომელნიც მტრულის თვალით უყურებენ ჩვენს დამოუკიდებლობას და ერთაშორის სთესენ შურსა და ღვარძლს. ხე მეტად დიდი საფრთხეა და ჩვენი შეთანხმებული მოქმედება, ვფიქრობ, რომ გაგვიადვილებს მასთან ბრძოლის სიძნელეს. მე კიდევ ერთხელ მივმართავ აქ მოსულ წარმომადგენლებს (ტაში) ყველა ერი აქ თანასწორი იქნება (ტაში). დარწმუნებული ვარ, რომ ისინი აასრულებენ თავიანთ მოვალეობას, როგორც საგარეო, ისე საშინაო საქმეებში. (ტაში ყველა სკამებზედ).

### დავიდხანოვის სიტყვა

ბოდიშს ვიხდი, ქართული ენის ცუდი ცოდნისათვის, მაგრამ სომეხთა პარტიების დაშნაქცუტიუნის, სოც.-რევოლუციონერთა, სოც.-დემოკრატთა და სახალხო პარტიის ფრაქციებმა დამავალეს ორი სიტყვა წარმოვსთქვა და მე მსურს ქართული ენით მოგესალმოთ თქვენ და მადლობა გადუხადო თავმჯდომარეს, რომელმაც სალამი გვიძღვნა. (ტაში ყველა სკამებზე) მართალია ჩვენ ვართ სომეხთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნი, მაგრამ ჩვენ აქ მოვსულვართ არა მარტო სომხის ერის კულტურული ინტერესების დასაცავად, არამედ მისთვის რომ თქვენთან ერთად შევიტანოთ ჩვენი წვლილი საერთო კულტურულ მუშაობაში და ჩვენიძვირფასი სამშობლო საქართველოს თავისუფლების დაცვაში. (მხურვალე ტაში ყველა სკამებზედ). ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აქ ყველა ერის ინტერესები დაცული იქნება და ყველა ერი თანასწორი იქნება (ტაში).

ჩვენი ამომრჩევლები კი, ისე როგორც სარგებლობენ ჩვენს სამშობლოში ყველა სამოქალაქო უფლებებით, ისევე მთელი ძალღონით გაიზიარებენ შიგნით ორგანიულ მუშაობას და თავს დადებენ ბრძოლის ველზე. (მხურვალე ტაში ყველა სკამებზე).

კიდევ ერთხელ მადლობა და სალამი თავმჯდომარეს. (მთელი დარბაზი ფეხზედ დგება და ხანგრძლივი ტაშის ცემით სალამს უძღვნის ახლად მოსულ დეპუტატებს).

### კანონ-პროექტი მომრიგებელ მოსამართლეთათვის დამატებითი გასამრჯელოს დანიშვნის შესახებ.

საზეიმო სიტყვების შემდეგ კრება გადადის მორიგ საქმეებზედ. საბჭოს წევრის ნ. ქარციძის მოხსენებით, ერთხმად ამტკიცებს კანონ-პროექტს შესახებ დამატებითი ჯამაგირის დაწესებისა თბილისში არჩეულ ორ მოსამართლისათვის, იმათ მდივანთა და თარჯიმანთათვის და დამატებითი ფულის მიცემისა ამ მოსამართლეთა საკანცელარიო ხარჯებისათვის.

### 3,000 მანეთი იაკობ ნიკოლაძეს.

ეროვნულ საბჭოს მდივანი დ. ონიაშვილი ხელოვნების კომისიის სახელით წინადადებას აძლევს საბჭოს, 3 ათასი მანეთი გაიღოს ცნობილ მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის გასამრჯელოდ საქართველოს დროშის იმ პროექტისათვის, რომელიც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დააკანონა. ეროვნული საბჭო ამ წინადადებას ერთხმად ამტკიცებს.

### კამათი ალ. ახმეტელის შეკითხვის გამო.

გრძელდება წარსულ სხდომის წინ შეწყვეტილი კამათი ალექსანდრე ახმეტელის შეკითხვის გამო, პურის სიძვირის ნიადაგზედ წარმოებულ რესპუბლიკის საწინააღმდეგო აგიტაციის შესახებ. პირველად ჩაწერილია **თედო ღლონტი** (ს.-ფ) და აღნიშნავს, რომ სასურსათო სამინისტრომ ვერ გამოიყენა ვერც საშინაო, ვერც საგარეო ეკონომიური ძალები, ანგარიში არ გაუწია კოოპერატივებს და ბოლოს ახალ სასურსათო ორგანოს კრიტიკაზედ გადადის. სამწუხაროდ, ორატორის მიერ თავის სიტყვის ძალიან გაუგებარ გამოთქმის გამო, შეუძლებელი გახდა ანგარიშში სისწორით აღნიშვნა.

### თედორე კიკვაძე.

სოც.-დემ. სახელით ლაპარაკობს თედორე კიკვაძე.

**სოციალ-დემ. ფრაქცია ამზადებს კანონ-პროექტს ბოროტ-მოქმედებასთან ბრძოლის შესახებ.**

მე შევეხები იმ „პანამას", რომელიც აქ ბატონმა ახმეტელმა გამოამჟღავნა. სოც.-დემ. ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ყოველივე ბოროტ-მოქმედება უნდა დაისაჯოს მთელი სისასტიკით,

**ახმეტელი** (ადგილიდან): როდის?

**თ. კიკვაძე**: რადგანაც ეს ბოროტმოქმედებანი გახშირდნენ, სოც.-დემ. ფრაქცია აპირობს ამ მოკლე დროში, თავისი ინიციატივით წარმოადგინოს კანონ-პროექტი ამ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის შესახებ, რომლის ძალით ესეთი ბოროტმოქმედნი, შეიძლება სიკვდილითაც დაისაჯონ (სიცილი), მათ ქონებას კონფისკაცია უყონ (სიცილი).

**შალვა ამირეჯიბი** (ადგილიდან) ვის გადაეცეს?

**თ. კიკვაძე**: ყველა იმ ბოროტმოქმედების გამო, რომელნიც, თითქოს, ადგილი ჰქონდათ სასურსათო სამინისტროში, რევიზია არის დანიშნული და ეს რევიზია გვიჩვენებს თუ რაშია საქმე.

**სასურსათო სამინისტრო.**

ეხლა გადავდივარ სასურსათო სამინისტროზე. რომ სრული წარმოდგენა გქონდესთ ამ დაწესებულების შესახებ, თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც უშლიდენ ამ დაწესებულებას ნაყოფიერ მუშაობის განვითარებას. დროსა და სივრცის გარეშე ვერც ერთი სამინისტრო ვერ იმოქმედებს. 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. პური მაშინ ძალიან ცოტა გვქონდა, დიდი ნაწილი სოფლებისა, თითქმის დამშეული იყო.

თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს პურის საკითხს სახელმწიფოსთვის, წარმოიდგინეთ იქიდან, რომ პურმა დაამხო ნიკოლოზის ტახტიც. როდესაც ამ სამინისტროში ტერ-გაზარიანი და

საჭიანი იყვენ, მაშინ გაცილებით უკეთესი პირობები იყო. შემდეგ დაიკეტა ბაქოს გზა. სამხედრო გზითაც შეუძლებელი გახდა რაიმეს შემოტანა და ამავე დროს საქართველოში სურსათი სრულიად გამოილია და დამშეული გურია დახმარებას ითხოვდა. მთავრობა იძულებული იყო რა საშუალებითაც არ ყოფილიყო, ეს მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა და სამინისტროსადმი ბრძანებაც კი იყო გაცემული, რომ რაც უნდა მომხდარიყო სამინისტროს სათანადო ხელშეკრულებანი დაედო.

**ხელშეკრულებანი.**

შეუძლებელია რომ ასეთს პირობებში ყველაფერი გაითვალისწინო, ყველა წვრილმანებზედ იზრუნო და ამიტომ შეიძლება მცირე შეცდომებიც იყოს, მაგრამ ნათქვამია ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი სჯობიაო და სამინისტროც ესე მოიქცა. გადავიდეთ იმ ხელშეკრულებებზედ, რომელთა შესახებ ილაპარაკა აქ ბატონმა ახმეტელმა. ხელშერულება ხოშტარიასთან: ერთი რომ ის ითხოვდა მონოპოლიას, მეორე—სამ მილიონის რუსულ ფულს და განსაკუთრებულ გარანტიებს, ხოლო თავის მხრით, არავითარ პასუხის გებას არ იღებდა თავის თავზედ.

მისი წინადადება შემოვიდა 27 აგვისტოს, 28 აგვისტოს კი მინისტრის ამხანაგი საბაშვილი ამ წინადადების შესახებ მოხსენებით წარსდგა მთავრობაში და დაამტკიცა, რომ იგი მეტად საზარალო იყო.

ახმეტელი კი აქ გვისაყვედურებდა რატომ მას არ მიეცითო.

**ა. ახმეტელი** (ადგილიდან) ვინ სთქვა ეგ?

**თ. კიკვაძე** თქვენ არ სთქვით, რატომ მაზმანოვს და მის ამხანაგებს მიეცით და არა ხოშტარიასო?

**ა. ახმეტელი** (ადგილიდან): ნათქვამს გაგება უნდა!

**კიკვაძე:** სასურსათო სამინისტრო ცდილა რომ „კომერსანტთან" სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი პირობები დაედვა.

შემდეგ ახმეტელმა სთქვა, რომ სამინისტრომ აზერბეიჯანში 30 ვაგონი შაქარი გაგზავნაო.

**ა. ახმეტელი** (ადგილიდან) მე არ მითქვამს, რომ სამინისტრომ გაგზავნა. ყველაფერს ცოდნა და გაგება უნდა.

**კიკვაძე:** ნამდვილათ კი აღმოჩნდა რომ მხოლოდ ტაგიევისათვის მიუციათ 2 ვაგონის შაქრის გატანის ნებართვა და აი რა პირობებში:

გურიიდან ითხოვდენ პურს და საჭირო იყო, რა საშვალებითაც არ ყოფილიყო, ეს პური მათთვის მიეწოდებიათ. სწორეთ ამ დროს დაპირებია ტაგიევი 2 ვაგონ პურის შემოტანას, თუ 2 ვაგონ შაქრის გატანის ნებას დართავდენ და 120 ათასი მანეთი საწინდარიც შემოუტანია. ასეთ დროში, ბატონებო, ძნელია ყველა წვრილმანის გათვალისწინება.

**პურის საკითხი**

მე არა მაქვს აზრათ ყველა ხელშეკრულებანი დეტალურათ განვიხილო, მაგრამ ისინი რომელთა შესახებ ბ-ნი ახმეტელი ამბობდა რომ უაღრესათ საზარალოა სახელმწიფოსათვის, მე უნდა ვაღიარო რომ სიმართლეს არ შეეფერება. სამინისტრო მუდამ ცდილობდა, რომ ხელშეკრულებანი ხელსაყრელ პირობებში დაედო.

ამ ჟამად პურით პროვინცია, თითქმის დაკმაყოფილებულია და მხოლოთ ქალაქებისათვის არის საჭირო.

ის პური, რომლის შემოტანა ამ მოკლე ხანშია განზრახული, სავსებით დააკმაყოფილებს ამ ქალაქებს და ვფიქრობთ, რომ შემოტანილი პური ადგილობრივ ფასებსაც საგრძნობლად დასცემს.

**ახმეტელის შეკითხვა ვნებს საქმეს.**

მე დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფო კონტროლიორს თავისი მოხსენება მთავრობაში არ წარედგინა, ბატონი ახმეტელი თავის შეკითხვას აქ არ შემოიტანდა. სახელმწიფო კონტროლიორმა თავისი მოხსენება 14 აგვისტოს შეიტანა მთავრობაში, ხოლო ახმეტელის შეკითხვა 17 აგვისტოს თარიღით არის აღნიშნული და ეს ცეცხლზედ ნავთის გადასხმას ნიშნავს.

რა მოსაზრებანი ამოქმედებდენ ან და რა უნდა მას—ეს მისი საქმეა, ხოლო ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ესეთი შეკითხვები მხოლოდ ვნებს საქმეს.

**სასურსათო საბჭო.**

სასურსათო საქმის წესიერად მოწყობა ისეთს სახელმწიფოშიაც კი გაძნელდა, როგორიც გერმანია არის, სადაც ყოველი მოქალაქე მოწადინებულია დამყარებულ წესების დაცვაში და წარმოიდგინეთ თუ რა ძნელი უნდა იყოს ამ საქმის აქ, საქართველოში მოწყობა, სადაც ყოველი მოქალაქე ხელს გვიშლის. ამ ჟამად ხდება სასურსათო სამინისტროს გადასხვაფერება და ეს უფრო გააუმჯობესებს საქმეს. რაც შეეხება თავმჯდომარეს, თუ იმას ბრძანებთ, რატომ არის იგი დანიშნულიო, მოგახსენებთ: საბჭო მთავრობის ფულს ხარჯავს და უნდა იყოს ერთგვარი კონტაქტი მთავრობასა და ამ დაწესებულების შორის, მაგრამ ეს მაინც ტეხნიკური საქმეა და შეიძლება დავეთანხმოთ იმათ, ვინც მის არჩევას ითხოვს. იმ გეგმას კი, რომელიც აქ სასურსათო და გზათა მინისტრმა ლორთქიფანიძემ წარმოადგინა, სოც.-დემ. ფრაქცია სავსებით მხარს უჭერს. შეიძლება იყვენ შეცდომები, მაგრამ არა ის, რაც აქ ახმეტელმა წარმოადგინა. უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის რევიზიას და ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვეძლება პირუთვნელად განვსაჯოთ ამ სამინისტროს მოღვაწეობა.

## რევაზ გაბაშვილის სიტყვა

**კარგი ფონია, მაგრამ ერთს ადგილს ახრჩობს.**

ბატონმა კიკვაძემ სთქვა, რომ მას არა აქვს აზრად სამინისტრო დაიცვას, მაგრამ მისი სიტყვებიდან გამოვიდა, რომ ამ სამინისტროს არაფერი არ დაუშავებია. წარსულ სხდომაზედ მთავრობამ აქ განაცხადა, რომ თითქმის ყველა ხელშეკრულება, რომელიც კი ამ სამინისტროს დაუდევს სახელმწიფოსთვის საზარალოა. ეხლა ბატონი კიკვაძე გამოდის და ამბობს, რომ არც ერთი არ არის საზარალო. ვის დაუჯეროთ ეხლა—მთავრობას, თუ კიკვაძეს (სიცილი).

**ა. ახმეტელი** (ადგილიდან). კიკვაძეს დაუჯერეთ,

**რ. გაბაშვილი.** ნოე ჟორდანიამ ბრძანა, რომ 12 ხელშეკრულებაში 11 გაუქმებულია. ხოლო მე-12 არ არის საზარალო, მხოლოდ ერთი მუხლია ესეთიო. ეს ნიშნავს ბატონებო: კარგი ფონია, მაგრამ ერთს ადგილს ახრჩობსო. (სიცილი).

და ეს ერთი მუხლია სწორედ, რომლის წყალობით ჯერ-ჯერობით საქართველოში ვერაფერი რომ ვერ შემოგვიტანია.

**ვნებს თუ არა შეკითხვები საქმეს.**

ყოველთვის, როდესაც კი ჩვენი შეკითხვის გამო არის კამათი, ერთი რამ დაუჟინიათ: შეკითხვები ვნებს საქმესო, მაგრამ შემდეგ კი როდესაც განწყობილება ცოტა განელდება, საგრძნობელ დაგვიანებით, მაგრამ მაინც ასრულებენ ყველაფერს იმას, რასაც ჩვენ ამ შეკითხვებით ვეუბნებით.

**გზათა მინისტრი.**

გზათა მინისტრმა მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოიცალა მას შემდეგ, რაც ეს შეკითხვა შევიდა და ისიც მისთვის, რომ ეთხოვა კიდევ ერთი კვირით გადადებულიყო ამ საკითხის განხილვა, იმ მიზეზით, რომ მას სურდა მოხსენების წარმოდგენა. და რა სთქვა ამ მოხსენებაში? გვიამბო ზღაპარი იმის შესახებ, თუ როგორ 17 ადგილიდან ვერ შემოიტანა პური.

რასაკვირველია, როგორც კიკვაძემ სთქვა: დროსა და სივრცის გარეშე არაფერი ხდება და არც აქ არაფერი ხდება, და ესეთ მინისტრის შესახებ უნდა გეყოთ გამბედაობა და სთქვათ, რომ ის არვარგა. მას აბარია გზები და სურსათი და აბა სად მიიღო მან ამისთვის საჭირო გამოცდილება? უთუოდ უმაღლესი მოსაზრებაა აქაც დაცული.

როდესაც ახმეტელმა დაამტკიცა, რომ მის სამინისტროში ბოროტებაა, მინისტრმა მოგვითხრა მეორე ზღაპარი და ამ ზღაპარში გვიამბო ის ხელშეკრულებანი, რომელიც რამოდენიმე წუთის შემდეგ ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ ერთიანად გაააბათილა!

ბატონი მინისტრი რომ აქ გამოსულიყო და ეთქვა: მართალია, ბევრი ხელშეკრულება უვარგისი გამოდგა, მაგრამ აი ერთი, რომლის საშუალებით საქართველოში უკვე ერთი მილიონი ფუთი პური მოვიტანეთო, ჩვენ კიდევ შეგვეძლო მისთვის, რაიმე გასამართლებელი საბუთი მოგვეძებნა.

აქ გამოსვლა კი იმ მდგომარეობის შემდეგ, რომელშიაც მან ქვეყანა ჩააგდო, მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ამ ტრიბუნაზედ გამოსვლა მე შემრცხვებოდა.

ბატონი კიკვაძე კი გვიმტკიცებს, რომ ეს სამინისტრო ქვეყნის მხსნელია.

ამ მინისტრზე იციფ რას ამბობენ? —რათ ჩააბარეს მას გზებიო?—მისთვის, რომ გზა ვერ უპოვაო! (სიცილი).

(დასასრული იქნება)

---

ახლა თუ გვსურს, რომ სკოლამ მიიღოს ეროვნული მიმართულება, იყოს ბავშვისათვის ნამდვილი დედა და არა, როგორრათაც აქამდინ „დედინაცვალი", მან უნდა გაუღოს ფართოდ თავისი კარი ყველას, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და წოდებისა. ამასთან, სახალხო განათლებისათვის ყოველწლიურად ჩვენ უნდა გადავდვათ იმდენი მაინც, რაც ეხარჯება სახელმწიფოს ჯარების შესანახად. ეს საჭიროა, რომ ჩვენი ერი რამდენადმე დაუახლოვდეს, განათლების მხრივ, ევროპიულს კულტუროსან ერებს. დემოკრატიულ საქართველოს სახელმწიფოში სახალხო განათლება უნდა იყოს სავალდებულო ყველასათვის. იგი უნდა გავრცელდეს განურჩეველად ყველა მოქალაქეზედ.

სწავლება როგორც დაბალს, ისე საშუალო და მაღალს სასწავლებლებში უნდა იყოს უსასყიდლო, რადგანაც სწავლის ფული სრულის თავის სიმძიმით განსაკუთრებით აწვება კისერზედ ღარიბებს. ხალხთა შორის ორგვარი განსხვავება სუფევს: ნიჭის და ნივთიერი ქონების მხრივ. განსაზოგადოებას სწავლისას მოყვება შესუსტება ამ ორი გვარის განსხვავების და გათანასწორება მოქალაქობრივი უფლებითის პრინციპისა.

გაეროვნებულ სასწავლებლებში არ უნდა იყოს სწავლის მხრივ არავითარი გარჩევა ვაჟთა და ქალთა სასწავლებელთა შორის. სწავლა-განათლება უნდა სწარმოებდეს ერთნაირი კურსით, ერთნაირი პროგრამის საშუალებით. ქალებს უნდა მიეცეთ ისეთივე უფლებანი, რომელნიც მიენიჭებიან ვაჟებს.

ეროვნული განათლება დამოუკიდებელი უნდა იყოს ყოველი პარტიულის მიმართულებისაგან. სრული თავისუფლება სწავლა-განათლებისა არი უტყუარი საწინდარი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობისათვის. შეზღუდვა ამ თავისუფლებისა საბედისწერო მოვლენად შეიქმნება სკოლის ევოლიუციონური მოქმედებისათვის, ხელს შეუწყობს მის დაქვეითებას—რეგრესს. არ არსებობს,—ამბობს კონდორსე,—ძალა, რომელსაც შეეძლოს ცოდნის შუქის ჩაქრობა. შეიძლება მისი დროებით შეჩერება ბნელეთის ძალისაგან, მაგრამ ერთს და ორს საუკუნეს კაცობრიობის ისტორიაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სამწუხაროა, რა საკვირველია, როდესაც რამდენიმე თაობამ გაიარა თავისი შრომის ცხოვრება და არ ჰქონდა შეძლება ეგემნა და ესარგებლნა იმ სიბნელის გამაშუქებელის ლამპრით, რომელსაც „განათლებას" ეძახიან. ვინღა აღადგინოს იგინი მკვდრეთით საფლავიდან და მიანიჭოს მათ ახლად ცხოვრების მოწყობა. უმეტესად შემაძრწუნებელია, როდესაც რამდენიმე მილიონი ადამიანი განიცდის სულიერად სიმშილს-წყურვილს და მიილტვის სწავლა-განათლებისაკენ. ვინ იტვირთებს ამას, თუ არ სკოლა, ეროვნული სკოლა.

მაშ რა უნდა შეადგენდეს ეროვნული სკოლის იდეალს? იგი უნდა იყოს საყოველთაო, სავალდებულო, უსასყიდლო; ერთგვარი, განურჩეველად სქესისა, სარწმუნოებისა და წოდებისა; კომპაქტიურად ერთეული მთელი, ზოგად განათლების ხასიათისა და ტიპისა.

30 სექტ. 1919 წ.

ქ. თბილისი.

ა. ნატროშვილი.

---

## ქრონიკა

### თბილისი.

**ცნობა კავკავის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება.** გუშინ გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა თითქოს ალექსეევის ჯარს კავკავი აეღოს. ეხლა როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება.

**გაძარცვა.** 1 ოქტომბერს ექიმ მარტინოვის ბინიდან რამოდენიმე შეიარაღებულმა მილიციონერების სახელით წაიღეს 40 ათასი მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

**სადგურ საცერიდან იტყობინებიან,** რომ 30 სექტემბერს, სერნიავოდის სადგურიდან ორთქლმავალით ჩამოვიდენ ავაზაკები მორჩაძეს მეთაურობით. ავაზაკებმა მოითხოვეს სადგურის უფროსი და ტელეგრაფისტი, მაგრამ მათ დამალვა მოასწრეს. ბოროტ-მოქმედებმა წაიყვანეს რამოდენიმე კაცი და წავიდნენ ტყიბულის მიმართულებით.

**გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა შეკრიბოს სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებიდან შემოსავლის 3 პრ. ქალაქის სასარგებლოთ.

**გენ. ანდრონიკის მოკვლა.** ერევანის გაზეთი „ჟოგოვურდი"-ს ცნობით გენ. ანდრონიკი მოუკლავთ ზანგეზურში.

**ტყეების მიღება.** თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, აგრეთვე სოჩისა და გაგრის ნაწილებში მოქმედობს 16 კერძო მესაკუთრე ტყის მიმღები კომისია.

**ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა** საზოგადოებასთან არსებულ ტერმინოლოგიურ სექციის კრება დანიშნულია ხუთშაბათს, 3 ღვინობისთვეს საღ. 8 ს. მელიქიშვილის სავადმყოფოში ქსენიას ქუჩა № 7. შემდეგი კრებები მოხდება ყოველ კვირაობით იმავე ალაგას ხუთშაბათობით 8 ს.

**თბილისის ავლაბრის** მეხუთე გიმნაზიაში არის თავისუფალი ადგილები და მსურველები მიიღებიან: საანბანო უმცროს და უფროს განყოფილებებში; 1-ში, მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 კლასებში. მსურველთ თხოვნებით უნდა მიმართონ ბ. დირექტორს გიმნაზიის კანცელარიაში 9—12 საათ.

**თბილისის ქალთა** საეპარქიო გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდა გრძელდება 15 ოქტომბრამდის. ამასთანავე გიმნაზიასთან ახლად იხსნება საანბანო განყოფილება. თხოვნები მიიღება 15 ოქტომბრამდის.

## გერმანულ-კავკასიური ბანკი

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ სასურველათ იცნო მონაწილეობა მიიღოს გერმანულ-კავკასიურ ბანკის ორგანიზაციაში. ბანკის წესდებას მიიღებს სომხეთის მთავრობა მას შემდეგ როდესაც მას დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა, რადგანაც ბანკიც და მისი გამგეობაც თბილისში იმყოფება.

## ბაქო

**სასწრაფო მატარებელი ბაქოში.**

გუშინ წინ ღამის 1-ლ საათზე თბილისიდან განჯაში გაიგზავნა სასწრაფო მატარებელი. განჯიდან მატარებელი ადერბეიჯანის მთავრობის ნებართვით ჩავა ბაქოში. ამ მატარებლით წავიდა გენ. ძალალოვი საგანგებო დელეგაციით რომელშიაც შედიან: ნავთის მწარმოებელნი და მთავრობის მიერ დანიშნული საგანგებო კომისია ა. ტოლსტონოგოვის მეთაურობით ნავთის, გეხზინის, წასასმელ ზეთის და სხ. სასყიდლად.

**ქართველების მდგომარეობა ბაქოში.**

ბაქოს აღებამდე ქართულ სკოლის სადგომში შეიკრიბა 400 ქართველი, მათ 82 სომეხი შეუერთდა, რომელნიც ქართველებს შეეფარნენ. მოსალოდნელი იყო თათრებს არ დაეზოგნათ არც ქართველები და არც სომხობა. საბედნიეროდ საქმემ მშვიდობიანად ჩაიარა. ბაქოში შემოსულ ნური-ფაშას მისასალმებელი სიტყვით სხვათაშორის მიეგება ქართულ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი. საპასუხო სიტყვაში ნური-ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალეთის იმპერიის და საქართველოს შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, რაც მომავალში უფრო განმტკიცდება. ქალაქში ჩასული ადერბეიჯანის მთავრობა ყურადღებით მოექცა ქართველთა გასაჭირს. ქართველებს სესხად მისცეს 50 ათასი მან., ამასთან ერთად დაჰპირდნენ სურსათით უზრუნველყოფას. ბაქოს დამცველთა შორის იყო მცირე რაზმი ქართველებისა, რომელიც ძალაუნებურად მოქმედობდა. რაზმის ნაწილი ოსმალთ ტყვედ ჩაუვარდა. ოსმალები დაჰპირდნენ მათ გამოგზავნას საქართველოში საქართველოს მთავრობის განკარგულებაში. არამაჰმადიანები ესწრაფვიან ქალაქიდან გასვლას. ამ ჟამად გასვლის მსურველი 3000 ქართველია. ამას გარდა ქართულ ეროვნულ საბჭოს მიჰმართეს რუსებმა, სომხებმა და სხ., რომელთაც თავი საქართველოს ქვეშევრდომებად მოაქვთ. ადერბეიჯანის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მგზავრებთ ვაგონები მიეცემათ, მაგრამ ყველა სადგურებზე გასჩხრეკენ, რომ „დამნაშავე ელემენტებმა" არ ისარგებლონ ამ შემთხვევით.

**ბაქოელ ქართველთა დელეგაცია თბილისში.**

ბაქოს ქართულ ეროვნულ საბჭომ თბილისში ორი წარმომადგენელი გამოგზავნა: ვ. ბაქრაძე და ა. ჟორჟოლიანი. ისინი შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე რათა ყოველ მხრივ უზრუნველ ყოფილ იქმნას ბაქოდან გამოსული ქართველობა გზაში მოგზაურობის დროს.

**ნ ა ვ თ ი.**

ნავთის ჩამოტანა თბილისში დააგვიანა შამქორთან მომხდარ ამბავმა. თბილისი ნავთს ორი დღის შემდეგ მიიღებს.

## ომი

### დასავლეთის ფრონტი.

**კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი.**

**ბერლინი.** ღვინობისთვის 1. სამხედრო ცნობა. ზღვის სანაპიროდან ტყვეები მოვლალეთ. ჩვენი ახალი ფრონტი ფლანდრიაში გადის ზურგთუკან პოზიციებისკენ, რომელნიც შარშანდელ ფლანდრიის ომებში შევამზადეთ. ხანზეიკის სექტორიდან, როზელიარის აღმოსავლეთით, დელეგემიზლიუმესკენ, შემდეგ ლისის დაბლობში ჩვენ ძველ პოზიციებთან არმანტიერთან გავამაგრდით. მტრის გუშინდელი იერიში როზელიართან და ელფრიკთან მოვიგერიეთ. ბელგიელ-ინგლისელებთან ერთად ფრანგებიც დავატყვევეთ. ფლეუმეს და გიულიუხს შუა მტერი დავამარცხეთ. კამბრეს ორივე მხარეს ინგლისელებმა იერიშები მიიტანეს. შუადღისას, კანადელ ახალ დივიზიებმა რამილიეს ჩრდილო მხრიდან წაიწიეს. გენერალ-ლეიტენანტ ფონ-ფრიჩის სარდლობით არასის და კამბრეს შუა ვიურტემბერგის სამარქაფო დივიზიამ № 26 მტერი ტილუადან განდევნა. კამბრეს სამხრეთით ჩვენი პოზიციები შევინარჩუნეთ.

**ბოინის ლაშქარი.** ლატელის ორივე მხარეს მოპირდაპირემ ხანგილის და ჟონკურის შუა სასტიკი იერიშები მოიტანა. ჟონკურის და სომის სამხრეთით მწუხრისას ბრძოლა გაცხოველდა. მტრის იერიშები ყველგან მოვიგერიეთ.

**გერმანეთის კრონპრინცის ლაშქარი.** ფრანგებმა ცხარე იერიშები მოიტანეს ენსა და ვესლას შუა ბრაილის და ჟონმერისკენ. მოწინააღმდეგემ საწადელს მხოლოდ ბრეილის ჩრდილოეთით სიმაღლეებზე მიაღწია. სენ-მარი-ა-პის ახლოს დავატყვევეთ ორი ფრანგული როტა. ამერიკელებმა არგონების აღმოსავლეთით დიდი იერიშები მოიტანეს. ომის ცენტრად ისევ აპრემონი და მონტრებოს ტყეები იქცა. მტერი ყველგან მოვიგერიეთ. გუშინ იგი დიდათ დაზარალდა.

**ჰალვიცის ლაშქარი.** მეუზის დასავლეთ ნაპირზე არტილერია ჰმოქმედობდა. არტილერიამ, საპიორებმა და ქვეით ლაშქარმა ერთსულოვან მოქმედებით გაანადგურეს ტანკები. აქ მრავალ მამულიშვილმა თავი ისახელა.

**ვენა.** ღვინობისთვის 1. სამხედრო ცნობა. ალბანეთის ასპარეზის სხვა და სხვა უბნებში ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი აქვს.

**ბერლინი.** ღვინობისთვის 1. სალამოს სამხედრო ცნობა. ფლანდრიაში მტრის ძლიერი იერიშები კამბრეს მხრიდან და შამპანებში მოვიგერიეთ.

**პარიზი.** ენკენისთვის 3. (მიღებულია მოსკოვიდან). ფრანგული სამხედროს ცნობა. ფრანგები გადავიდნენ სენ-კონტენ-ლავერზე და ტყვეები წაიყვანეს. შამპანებში ფრანგები შეტევას განაგრძობენ და ბუკონვილი აიღეს. აღმოსავლეთით მათ კიულევის მთა დაიპირეს. ფრანგებმა აიღეს სოფელი სეჟე, აღმოსავლეთით აიღეს არდეილი და ფოკსელი.

**სტამბოლი.** ღვინობისთვის 1 პალესტინის ასპარეზი. ჩვენი ჯარები დამასეოს სამხრეთით ებრძვიან ელ-კონტერისკენ შემოჭრილ მტერს. კისიესთან (დამასკოს სამხრეთით) ცხარე ბრძოლა გვაქვს მოწინააღმდეგის კავალერიასთან. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სრული სიწყნარეა.

### ბელგიის ფრონტი

(დეპეშა)

**ინგლისურ პრესის ცნობა.** მეფე ალბერტის ბრძანება. ჰავრიდან. სანამ ბელგიელთა ჯარები შეტევას დაიწყებდნენ. მეფე ალბერტმა თავის ჯარებს შემდეგი ბრძანებით მიჰმართა: „ჯარისკაცნო! თქვენ ეკვეთებით მტრის პოზიციებს. თქვენ ფრანგ და ინგლისელ ამხანაგებთან ერთად თქვენ უნდა განდევნოთ ჩვენი ქვეყნის დამპყრობნი, რომელთა მონობაში ოთხი წელიწადია სულს ჰლაფავენ ჩვენი ძმები. დადგა საბედო ჟამი. გერმანელები ყველგან იხევენ. ჯარისკაცებო! დაამტკიცეთ, რომ ხართ ღირსნი ჩვენი წმინდა დამოუკიდებლობისა, ღირსნი ჩვენი ერის და ჩვენი ტრადიციისა. მაშ წინ, ბელგიის თავისუფლებისა და დიდებისათვის!

**ჰერტლინგის გადადგომა**

**ბერლინი.** ენკენ. 30. (მოსკოვიდან). ჰერტლინგის გადადგომა მიღებულია, მინისტრს ფონ-ჰინცეს მიანდეს პარტიებთან მოლაპარაკება იმპერატორის რწმუნებულის სახით. „ნაციონალ-ლიბერალე-კორესპონდენტი" დაუყოვნებლივ მოითხოვს საამომრჩევლო რეფორმის გატარებას.

### გერმანია და ზავი

(დეპეშა)

**ტრანს-ოკეანეს გერმანულ პრესის ცნობა.** 29 ენკენ. . . . თვითეულ ჩვენგანს რომელიც ბრძოლის ველზე იმყოფება უნდა ახსოვდეს რომ ყველაზე მეტად ეხლაა მისგან სიკეთე დამოკიდებული. რასაკვირველია, ეხლა ლაპარაკი გამარჯვებაზედ კი არ იქნება, არამედ ზავზე, მხოლოდ იმნაირ ზავზე, რომელიც უღლად არ დაგვაწვება. რამდენიმე კვირის მოთმენა გვიხსნის საშინელებიდან. აშკარაა, რომ მხოლოდ საზოგადო ზავი და საერთო გაიარაღება მისცემს ხალხს ენერგიას ამ 4 წელიწადში განადგურებულ კულტურის აღსადგენად. ომი ბოლომდე მიდის როგორც საალყო „ფორვერცი" ამბობს, რომ ჩვენმა ხალხმა ვალი შეასრულა და უკანასკნელ წუთებშიც მას არ უღალატებს. (გაფუჭებულია).

### ციმბირი

(დეპეშა)

**ომსკი.** ენკენ. 30. ციმბირის მთავრობამ მთელი თავისი მხარე საალყო მდგომარეობაში გამოაცხადა.

**მღელვარება ბერლინსა და ვენაში.**

(დეპეშა)

**ინგლისურ პრესის ცნობა.** ბულგარელთა მიერ ზავის წინადადებამ ბერლინსა და ვენაში მღელვარება გამოიწვია. ბერლინის საპარლამენტო წრეებში მღელვარებაა. ფონ-ჰინცეს მოხსენებამ იგი უფრო გააორკეცა. ბერლინიდან გასულ დეპუტატებს დეპეშით სთხოვეს დაბრუნებულიყვნენ.

„ფრანკფურტერ-ცაიტუნგი" ბულგარეთის ღალატს უწოდებს და ამბობს, რომ მის გამო გერმანეთის მდგომარეობა სერიოზული ხდება. იგი ხალხს სიწყნარისაკენ მოუწოდებს. ვენიდან მოსული დეპეშა ამბობს, რომ საგულისხმო პოლიტიკურ ამოცანამ აიძულა პრემიერი, ფრაქციის ყველა ლიდერები შეეკრიბა. ამ თათბირის შემდეგ ვენის საპარლამენტო წრეებში ხმებია, რომ ხუსარეკს მიანდობენ შედგენას კაბინეტისას, რომელიც დაიცავს და გარე მოიკრებს მონარქიის ყველა ძალებს... (გაფუჭებულია), (გაშვებულია).

## სოჭის ქალაქის საბჭო და გენერალი ალექსეევი

1. როგორც „კავკ. სლოვო" იუწყება, სოჭის ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა; სთხოვოს გენ. ალექსეევს დაიჭიროს სოჭი. როცა ხმის მიცემის შედეგები გამოირკვა, სოციალ-დემოკრატ ხმოსნებმა პროტესტის ნიშნად სხდომის დარბაზი დასტოვეს.

---

როცა სოჭი ჩვენმა ჯარმა აიღო—სანაპირო ადგილების მმართველმა გენერალმა მაზნიაშვილმა მთავრობასთან შეთანხმებით გამოაცხადა მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ საკუთრება ქალაქებში ხელუხლებელი იქნებაო. ამ განკარგულებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. არ გასულა ორი კვირა ამის შემდეგ და სოჭის მიწადმოქმედების მინისტრი ესტუმრა სოჭაში, აქ მას ადგილობრივმა ჩვენმა სოციალისტებმა აუხსნეს, რომ საუცხოვოდ მოწყობილი სასტუმრო „რივიერა" რომელიც აქციონერების კუთვნილებას შეადგენს კარგი იქნება სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდესო. დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქმნა ორი კვირის წინად მთავრობის სახელით ჯარის სარდლის მაზნიაშვილის მიერ გამოცემული განკარგულება და „რივიერა" აქციონერთა წარმომადგენლებს ჩამოართვეს. ნუ თუ გასაკვირალია, რომ ამისთანა ფაქტების შემდეგ, სოჭის ხმოსანთა უმრავლესობამ ალექსეევს მიმართა თხოვნით, რათა ქ. სოჭი დაიპყროს?

2. სოჭის მიდამოებში მრავალი ძვირფასი სახელმწიფო ქონებაა. მარტო ნიკოლოზ მეორისა და დიდი მთავრების მამულები რამდენიმე ათ მილიონის ღირებულებას წარმოადგენს; მაცესტის გოგირდიანი სამკურნალო წყალი ტეხნიკის უკანასკნელ სისტემაზე მოწყობილი დაუფასებელ განძს შეადგენს. ყველა ამ უთვალავი სიმდიდრის გამგედ, მიმღებად და ზედამხედველად პატარა სასტუმრო „რივიერაში„ კომისიონერად ნამყოფი ბიჭი დაინიშნა.

3. საქალაქო არჩევნების დროს რუს სახლის მეპატრონეებმა და ვაჭარმრეწველებმა სთხოვეს ქართველებს მოსულიყვენ შეერთებული სიით იმ პირობით, რომ ყველა დასახელებული ქართველი ხმოსნად გავიდოდა. ჩვენმა „პოლიტიკოსებმა" განაპირა ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში მოისურვეს მხოლოდ „სოციალისტურ" ბლოკის შედგენა იმ მიზნით, რომ ქართველობას არა სოციალისტებისათვის არ მიეცათ ხმა. ბლოკი დამარცხდა და ეხლა, როგორც გავიგეთ სოციალისტთა მცირედი ნაწილი იძულებული გამხდარა გამოსულიყო საბჭოდან—ალექსეევის მოწვევის აღნიშნულ დადგენილების გამოტანის გამო.

## კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირის რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალი ცნობა

უკანასკნელ ხანებში როგორც საზოგადოებაში, ისე პრესაში გავრცელდა აზრი, რომ ოსმალეთის იმპერია და მისი წარმომადგენლები ძალმომრეობით ჰმოქმედობენ ჩრდილო-კავკასიაში, ბნელი ძალების და სასულიერო წოდების დახმარებით ამგვარ ცნობამ დიდი უნდობლობა ლაჰბადა მეზობელ ერთა მესვეურ წრეებში. ასეთი უნდობლობა ფრიად აფერხებდა როგორც დიპლომატიურ მოლაპარაკებას მთიელთა წარმომადგენლებისას, ისე ევროპის ცენტრალ სახელმწიფოებთან, რომელთაც მიზნად აქვთ განამტკიცონ საერთაშორისო მდგომარეობა მთიელთა რესპუბლიკისა. ზემოდ ნაჩვენებ გარემოებათა მიხედვით, კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის მთავრობა საჭიროდ ჰსცნობს უარჰყოს პრესაში მოწვდილი ყალბი ცნობები ოსმალეთის მოქმედების შესახებ. ოსმალეთმა პირველად აღიარა კავკასიის მთიელთა დამოუკიდებლობა, ამის გარდა, ოსმალეთმა დეპუტატთა პალატის და გარეშე საქმეთა მინისტრის პირით ტრიბუნიდან დაამტკიცა, რომ ოსმალთა იმპერია უაღრესად დაინტერესებულია კავკასიის მთიელთა დამოუკიდებლობით.

ოსმალეთის კეთილ ყურადღებას მთიელებისადმი მიმართულს ადასტურებს ისიც, რომ მთიელთა მთავრობასთან დიპლომატიურ ან სამხედრო წარმომადგენლად დანიშნულია მთიელთა ისტორიის მცოდნე იუსუფ იზეთფაშა ტომით ჩერქეზი. ბოლოს, მთიელთა მთავრობას აქვს სარწმუნო ცნობა, რომ მის უმაღლესობას ოსმალეთის სულთანს ჰსურს ჩრდილო-კავკასია დაინახოს დამოუკიდებელი, ერთეული და ბედნიერი.

რაც შეეხება მთიელთა სწრაფვას და სულის კვეთებას, ჩვენ ვიცით რა გაცეცხლებით ებრძოლნენ რუსეთის იმპერიას. თავისუფლების მოყვარე მთიელი ხალხი, არც ახლა დაიდგამს მონობის უღელს და დაიცავს თავის დამოუკიდებლობას ათას საფრთხიდან.

ხანდვილთან სწორია. მთავრობის საქმეთა გამგის ნაცვლად **აჰმედ გორბაკოვი.**

## უცხოეთის ამბები

### რუსეთში

**ნ. მაკლაკოვის დახვრეტა**

კიევიდან იუწყებიან, რომ ენკენისთვის 8-ს, მეფის მთავრობის ნამინისტრალთა შორის დახვრიტეს აგრეთვე ნ. მაკლაკოვი, კადეტთა პარტიის ლიდერის ძმა.

**ინგლისელები პეტროზავოდსკში**

კიევიდან ხანდვილი ცნობაა, რომ ინგლისელთა რაზმმა პეტროზავოდსკი აიღო.

### ყუბანში

ყუბანის მთავრობამ შემდეგი განმარტება გამოსცა: დონის და ყუბანის მთავრობათა შორის 9 მაისს დადებული ხელშეკრულება ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. სხვანაირი მოლაპარაკება არ ყოფილა, ასევეა დონის-კავკასიის კავშირის დაარსების შესახებ. რაც შეეხება ყუბანის ლაშქრის მსოფლიო ომში ჩაღევას, საჭიროა ითქვას, რომ ყუბანის მთავრობა გართულია ბოლშევიკებთან ბრძოლაში. ყუბანის ოლქი ამჟამად ნეიტრალიტეტს იცავს. მთავრობა ყოველნაირად ცდილობს, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლის შემდეგ ყუბანში დამყარდეს სრული წესიერება და ბედნიერება.

### ამერიკა

**ამერიკის ლაშქარი.**

სამხედრო მინისტრის მისტერ პეიროის განცხადების თანახმად დღეს ამერიკაში იწვრთნება 1 ნახ. მილ. ჯარისკაცი. საფრანგეთში უკვე გაგზავნეს 1,3 მილ. კაცი. განზრახულია ომის დასრულებამდე ყოველ დღიურად იგზავნებოდეს ევროპაში 10,000 კაცი. თუმცა ახალი კანონპროექტით ამ რიცხვს ემატება 13 მილიონი ემატება, მაგრამ აქედან 10 მილ. 32—35 წლ.

შესდგება. ამით ჯერ არ გაიწვევენ, როგორც ოჯახის მარჩენალთ და სამეურნეო მუშაობისთვის საჭირო ელემენტებს. ახალი კანონპროექტით გაიწვევენ 18—21 წლიანებსაც. უკანასკნელთა რიცხვი ავა 3,170,000 კაცამდე, რომელთაგან 272 ათასი შეღავათიანია. საზოგადოდ, თანახმად ამ კანონპროექტისა, მთავრობა თოფ-ქვეშ აყენებს 13 მილიონ კაცს.

### საბერძნეთი

**მიწისძვრა საბერძნეთის კუნძულებზე**

იტალიურ გაზეთების ცნობით, საბერძნეთის კუნძულებზე დიდი მიწის ძვრა მომხდარა. მიწის ძვრას კუნძულები სასტიკად დაუზარალებია. მოკლულია 300 კაცი და 2000-ზე მეტი დაჭრილი. თითქმის ყველა დიდი შენობანი განადგურებულია.

**ინგლისი და საფრანგეთი**

„პოსტ. ცაიტ."-ის ცნობით ინგლის-საბერძნეთ შორის დადებულ ხელშეკრულობის ძალით ინგლისში მოსახლე ბერძნები 18—35 წლამდე მოვალენი არიან ან საბერძნეთში დაბრუნდნენ ან ინგლისის ლაშქარში შევიდნენ.

## საყოველთაო სწავლა-განათლება საქართველოში

შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. ბ. რამიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა საგანგებო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კ. საბახტარაშვილმა, ლ. ბოცვაძემ, ვ. ბურჯანაძემ, გ. ჟუჟუნაძემ გ. კონიაშვილმა და ნ. კალანდაძემ. თათბირმა განიხილა საკითხი სასკოლო და სკოლის გარედ (40 წლამდის) საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების კანონპროექტის შემუშავების შესახებ. თათბირმა დაადგინა კანონ-პროექტის შემუშავება განათლების სამინისტროს დაევალოს. განზრახულია საქართველოს მიწა-წყალზე ყველგან გაიხსნას სკოლები და გარდა ამისა მოეწყოს ბუნდოვანი სურათები, სახალხო კითხვები და საკვირაო სკოლები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობას გადასცა კანონ-პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე სოფლის სკოლებთან ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნის შესახებ. სადაც სკოლები არ არის კანონ-პროექტით იქაც უნდა გაიხსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რომლის გამგებლობაც სოფლის კომისრებს უნდა დაევალოს.

საგანგებო თათბირმა შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტი მოიწონა.

## სახალხო სიმღერა-გალობა

ჩვენი სახალხო სიმღერა-გალობის საქმე უპატრონოდ არის მიტოვებული. ერთ ეკლესიაში ვერ მოისმენთ **ქართულ კილოიან გალობას.** 20 წელზე მეტია მუშაობენ, ახალი რამ შეიტანონ ამ დარგში,—მაგრამ ამაოდ. არაფერი ახალი, არა სჩანს, არც ეკლესიურ გალობაში, არც სახალხო მუსიკაში.—სპეციალური საზოგადოებები არსებობდა, როგორიც იყო მაგალ. ფილარმონიული და, სხ. აუარებელი ფული იხარჯებოდა, მაგრამ ვერა დავინახეთ-რა. ახლა ძველ სიმღერა-გალობის მცოდნე პირებმა დაულოცეს გზა სპეციალისტებს და მიანებეს ყველაფერს თავი. ამით ძველი სიმღერა-გალობა გაჰქრა, ქართული მუსიკა სხვის გავლენისაგან ჯერ ვერ განთავისუფლდა, თუმცა დიდი ხმაურობაა, ფუსფუსია ქართულ მუსიკის აღორძინებაზედ; ასე გასინჯეთ ოპერებსაც გვპირდებიან ჩვენი მუსიკის თავისუფალი ხელოვანნი, როდესაც იმავე დროს სახალხო სიმღერა-გალობა უფსკრულის პირზედაა მისული და საფლავში ჩააქვთ საუკეთესო კილოები ძველ მცოდნეებია.—გულიდამ ამონაკვნესი, მშობლიური კილოები სულ ახალი ხილია ფართო საზოგადოებისათვის და ნამეტნავად ჩვენი ინტელიგენციისათვის.—ნუ გვგონია, რომ ჩვენ წმინდა ქართულად ვგალობთ ან ვმღერით.

ჩვენი სახალხო სიმღერები და გალობა შესდგება სამ ხმაზედ და ეს სიმღერებიც უნდა შესრულდეს სახალხო გუნდის-მიერ სამ ხმაზედ. ძველი გალობის აღდგენის საქმეც ვალია ჩვენი სამღვდელოებისა. სასურველია დაარსდეს სახალხო სიმღერა-გალობის საზოგადოება, რომელიც იყოლიებს დიდ სახალხო გუნდს, რომლის შენახვა უნდა იკისროს ერმა ან მთავრობამ.—ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეწყოს სამხმოვანი წმინდა ქართული სიმღერა-გალობის საქმე. გალობის მხრივ პატარა ნაბიჯი უკვე გადადგმულია სამღვდელოებისგან სიონის ტაძართან მგალობელთა გუნდის დაარსებით, ძველ გალობის მცოდნე მღ. ფ. კარბელაშვილის ხელმძღვანელობით. როგორც გავიგეთ ამ გუნდისთვის თანხა გადადებულია და როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივადაც მოვალეა ყველა ქართველი—მცოდნე ძველ ქართულ სიმღერა-გალობისა, ჩადგეს ამ გუნდის რიგში და ხელი შეუწყოს ქართულ ძველ სიმღერა-გალობის საქმეს.

მიხეილ კავსაძე.

## კორესპონდენცია

### სამეგრელო

დღეს თითქმის მთელი ოპერაცია სამეგრელოს ფრონტზე, ზუგდიდის მაზრაში, უკვე საბოლოვოდ დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

ამ წერილში მკითხველს მინდა ვამცნო, თუ როგორ მოხდა ოდიშის ბოლშევიკთა დამორჩილება, როგორ მოელო ბოლო მათს ავაზაკურს ავანტიურას.

ვიდრე ი. გედევანაშვილის და ჯუღელის რაზმი ჩამოვიდოდა, თვით მთელ მაზრაში მოხეტიალე შეიარაღებულ ბოლშევიკთა ვეებერთელა გროვაში მოხდა სასტიკი განხეთქილება.

უთანხმოება მათ შორის დაიბადა იარაღის დაყრის ნიადაგზე. გაიშალა ორი მრისხანე ბანაკი, ერთი გვასალიას მეთაურობით, რომელმაც მთავრობის მორჩილება გადასწყვიტა; მეორე ცხომარიას მეთაურობით, რომელმაც დევიზად დაისახა: ან სიკვდილი, ან ბათუმიდან გამოქცეულ ძველ წითელ ბალვარეზიანი და სირმებით მორთულ ჯარისკაცების მთავრობა.

გაჩაღდა მათ შორის ბრძოლა.

შიგნით ბრძოლა, გარედან მთავრობის ჯარი სამი მხრიდან: სალხინოდან, აბასთუმნიდან და ზუგდიდიდან (ნაწილი ცაიშიდან), ამ დროს გვასალიას რაზმმა დაჰყარა იარაღი და მთავრობას მორჩილება გამოუცხადა, და რჩება სუსტი გროვა ცხომარიას მეთაურობით, მაგრამ მალე იმანაც მორჩილება გიმოაცხადა. ცხომარია დატყვევებულია და დღეს უკვე მეორედ ზის სენაკის ციხეში. გვასალიას კი მიუსაჯეს სამი თვე ციხე და ქუთაისის სატუსაღოში იმყოფება.

საქმე ამით არ დასრულებულა. თუ წინეთ ორი ათასი კაცისაგან შემდგარი ბრბო აწუხებდა სოფელს ათასნაირ კონტრიბუციებით, მაშინ ხალხი თვალით მაინც ხედავდა მტერს, ახლა კი მას გაუჩნდა მეორე მტერი ყაჩაღების სახით.

ყველამ როდი ჩააბარა იარაღი მთავრობის ჯარს, მრავალი მათგანი ტყეში გაიპრა და ახლა დათარეშობენ სოფლად, ეცემიან მცხოვრებლებს, ჸლეტენ, ძარცვავენ და აწიოკებენ.

ეს არის ნაშთი ბოლშევიკური მოძრაობისა. ქალაქები სენაკი და ზუგდიდი ყოველგვარ შიშ გარეშე დგანან, მხოლოდ სოფელია გასაჭირში.

ამ მდგომარეობას მთავრობამ შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციოს.

მეგრელი.

## თეატრი და მუსიკა

**მომღერალ ივ. სარაჯიშვილის მდგომარეობა.** საოპერო მომღერალის ავადმყოფ ივ. სარაჯიშვილის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მოკლე ხანში მუსიკოს ილია აბაშიძის ინიციატივით არტისტიულ საზოგადოების დარბაზში შესდგება კონცერტი ივ. სარაჯიშვილის სასარგებლოდ.

**ქართული კამერული სალამოები.** ქართული სამუსიკო საზოგადოება მოკლე ხანში ჰმართავს კამერულ კონცერტებს უფასოდ მოსწავლე ახალგაზრდობისთვის.

**თბილისის ქართულ მუსიკალურ სასწავლებელში** სწავლა უკვე დაიწყო. მოსწავლეთა რიცხვმა მოლოდინს გადააჭარბა. საზოგადოება ხსენებულ საზოგადოებას თანაგრძნობით ეკიდება.

**ქართული დრამის სეზონი.** ქართველ მსახიობთა კავშირის მთავრობამ წინადადება მისცა თავის წევრები მოიხმაროს სახაზინო თეატრში სეზონის მოსაწყობად. მსახიობთა კავშირმა გუშინ სასწრაფო სხდომა მოიწვია.

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს მესამეჯერ „კარმენი", ხვალ პირველად „დუბროვსკი", დირიჟორობს სამოსუდი.

„ლადია არგონავტოვ"—მეორე დღე ახალი პროგრამის 7 ციკლის „ჩაიხანებში", სანდრო ყანჩელის, მუსიკა ს. კორონასი, „პრინცესსა და მასხარა", მუს. ბეკატსკისა, ძველი სიმღერები ციგნებისა და „დუქანი ტოლედოში".

**სახალხო სახლი.** ხვალ ქართული დასი წარმოადგენს პიესას „№ 21 ჯერით", იქვე გაიხსნება სომხების დრამატიული სეზონი, რომელზედაც შირვან-ზადე იტყვის სიტყვას.

„დისპუტი ოჯახზე", 6 ოქტომბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება დისპუტი „სიყვარული და ოჯახი". მოხსენებას წაიკითხავს სერგეი გოროდეცკი. კამათში მონაწილეობას მიიღებენ: იაკობ ლვოვი, გრიგ. რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ალექსეი კრუჩიონისა, ბარონ ხოვენი და სხ.

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**


## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| **თბილისიდან გადის** | | | | |
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | სალამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |
| **თბილისში მოვა** | | | | |
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | სალამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | სალამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

იყიდება
## ს ა ხ ლ ი
ცნობების მიღება შეიძლება: მოსკოვის ქუჩა № 20, მესამე სართული, ბინა № 4; ბ. გაჟონია. (5—5)

## ინტელიგენტ ქალთა წრე

**იღებს შესაკერავებს** როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმებისა"-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშვთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის" სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეჭკები". სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბანა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით. 10—3

ექიმი
## ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად. თ.—1536—50

**ქალ. ქუთაისში**
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
**ქირ. და ქალთა სნეულების**
## საავათმყოფო
**სამშობიარო განყოფილებ**
მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

**სამკურნალო კაბინეტი ექიმის**
## ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**
## სამკურნალო
**ყოველგვარ ავათმყოფთათვის ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. ა. ნაზარბეგიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს **კბილის** სამკურნალო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

**მიდ ც ნის დოქტორი**
**ბერლინის უნივერსიტეტისა**
## გ. გ. მუგრაბიანცი
**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**გ ა ი ხ ს ნ ა**
## თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
## ექიმი დონხიძისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

**ე ქ ი მ ი**
## გ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**
[illegible]
## კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

# ამიერ-კავკასიის ბანკი

## მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრების ამა წლის 14 იანვრის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა, ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს ძირითად თანხას **3,000,000 მანეთიდან 6,000,000 მანეთამდე 12,000 აქციათა მეორე გამოცემით,** თითო აქციის ოცდახუთ თუმნის ნორმალური ღირებულებით შემდეგი პირობით:

1) **გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 300 მანეთი**—თითო აქციაზე, რომელი თანხაც სრულად უნდა გადახდილ იქნეს აქციაზე ხელის მოწერის დროს.

2) შემოსული ფულიდან: ოცდახუთი თუმანი ჩაირიცხება ძირითად თანხაში. ოთხი თუმანი სათადარიგო თანხაში და დანარჩენი ერთი თუმანი აქციის დასამზადებელ ხარჯებისა და მისი სალერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

3) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა მეპატრონეთ: **ძველ აქციაზე დაეთმობათ თითო ახალი აქცია.**

4) მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა დაიწყება **1918 წლის 1 ოქტომბრიდან** ქვემოთ ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებში და გავრძელდება: **ა) თბილისში,** ამიერ-კავკასიის ბანკში **1918 წლის 1 დეკემბრამდე ბ) ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სიღნაღში, გორში, ხონში, სენაკში, ყვირილაში, კავკავში** საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში და ბაქოში—**ნ. ჯაყელთან 1918 წლის 15 ნოემბრამდე.**

5) როდესაც ბანკის ახლანდელი აქციონერები დაკმაყოფილებული იქნებიან **თითო აქციით ყოველ ძველ აქციაზე,** გაუნაღდებელი აქციათა შეძენის უპირატესობა ენიჭებათ პირველი გამოცემის აქციების ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკვეთილი აქციათა ღირებულების პირველი ნახევარი შემოტანილი აქვთ და მეორე ნახევარი არ შემოიტანეს, რის გამოც დაეკარგათ აქციების შეძენის უფლება.

ამ პირებმა შესაფერი განცხადება და აქციათა ფასი უნდა წარუდგინონ მეოთხე მუხლში ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებს და პირს იქვე აღნიშნულ დროს განმავლობაში.

6) გაუნაღდებელი აქციები, მას შემდეგ, როდესაც 5-ე მუხლის თანახმად დაკმაყოფილებული იქნებიან ის პირნი, რომელთაც აქციათა შეძენის უფლება დაკარგული ქონდათ, განაწილდება პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეთა შორის; ამათ მე 4-ე მუხლში აღნიშნულ ვადაში უნდა განაცხადონ თუ რამდენი აქციის შეძენა სურთ მეორე გამოცემის პირობების თანახმად; თუ მათ მიერ მოთხოვნილი აქციათა საერთო რიცხვი აღემატება გაუნაღდებელი აქციათა რაოდენობას, იმ შემთხვევაში განცხადებების ძალით და პირველი გამოცემის წარმოდგენილ აქციების მიხედვით მოხდება აქციების შესაფერი განაწილება.

7) აქციებზე ხელის მოწერის დროს აქციონერები მოვალენი არიან თავიანთი დროებითი მოწმობები ცალკე განცხადებასთან წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

8) ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკარგული აქვთ პირველი გამოცემის აქციათა შეძენის უფლება და სურთ ისარგებლონ 5-ე მუხლში აღნიშნულ უფლებით აქციათა მეორე გამოცემის დროს, ვალდებულნი არიან საორგანიზაციო კომიტეტის „კვიტანცი"ები წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

9) ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ განცხადებებს მოწმობებით და „კვიტანცი"ებით და აღნიშნულ ვადაში სრულიად არ გადაიხდიან აქციათა ღირებულებას, მეორე გამოცემის აქციათა შეძენის უფლებას კარგვენ.

10) ახალი აქციონერები ბანკის **მოგებაში (დივიდენდი) იღებენ მონაწილეობას 1919 წლის პირველ იანვრიდან ისე,** როგორც პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეები.

11) აქციათა ფასების მიღებაში აქციონერებს მიეცემათ „კვიტანცი"ები, რომლებიც ხელის მოწერის გათავებისა და აქციათა განაწილების შემდეგ შეიცვლება ნამდვილი აქციებით.

**შენიშვნა:** ნამდვილი აქციები გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის ექსპედიციაში და დამზადებული იქნებიან 1918 წლის 1-ლ ნოემბრიდან.

10—4


სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამგეთის შესახვევი № 1.